

**ციბეხანი**

№ 147 / დეკემბერი / 2013

აფხაზებისა და ოსებისკენ – ევროკავშირის გზით **გვ. 28**

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი **გვ. 18**

მეტალურგიული ქარხნის საქმე **გვ. 38**

საკუთრების უფლებების აღდგენის პროცესი **გვ. 34**

რატომ მომზს ჩრდილოეთ კავკასია? **გვ. 50**

ფოტოპროექტი: მუდმივად თავშესაფრის ძიებაში **გვ. 56**

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008



ზანა ანდრონიკაშვილი

**"ამოთხრევიანი ახანი  
ყნიღის ჰონიბიჩუხი  
ჰახიჩუბს ითხომჰს"**

**გვ. 20**

# იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველგან!

იპითხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ გარეშვად იპითხოთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აკლიკების გადმოსაწერად, თქვენი მონეტარილიტიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“





ლიბერალი

№ 147 / დეკემბერი / 2013

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები  
ნინო ბექაშვილი  
ლიკა ზაკაშვილი  
ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:  
ზურაბ ვარდიაშვილი, თათია  
ხალიანი, გიორგი გოგუა, გიორგი  
ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა  
მაღალაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრიბუტორები:  
ვასო კუჭუხიძე, ლევან  
ლორთქიფანიძე, ირაკლი  
სოკოლოვსკი, ევა ანდერსონი,  
ვალერი ძუცვევი, დემის  
პოლანდოვი, ბეჟან სვანიძე

რედაქცია:  
ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
რედაქტორ-სტილისტი  
ნინო ბექაშვილი  
კორექტორი  
ნათია ორმოცაძე

გაერთიანებული  
შპს „ლიბერალი“

დირექტორი  
შორენა შავერდაშვილი  
ზიზანის განვითარების  
მენეჯერი:  
რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან  
ურთიერთობის მენეჯერი:  
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:  
გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამომწერის მსურველები  
დაგვიკავშირდით:  
mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

## რედაქტორის სვეტი



2013 წლის ნოემბრეში საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ პირველი სერიოზული ტესტი ჩააბარა – ვილნიუსის სამიტზე მათ დამაჯერებლად დაადასტურეს, რომ შეუქცევადი და ურყევა ქვეყნის დასავლური კურსი.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე. კიევი მოსკოვური შანტაჟის წინააღმდეგ უძღური აღმოჩნდა. მერკელის ულტიმატუმმა – ან ტიმოშენკო, ან ევროპა, პროცესი საბოლოოდ შეიყვანა ჩიხში. ქვეყნის ბედი კვლავ კიევის ცენტრში წყდება. როგორც ჩანს, ამ მოედანმა საბოლოოდ დაიმკვიდრა სიმბოლური სახელწოდება – ევრომეიდანია.

ერთი შეხედვით, ჩვენ თავი ქუდში გვაქვს. უკრაინის მარცხმა სრულიად მკაფიო გახადა, რომ რუსეთთან ბალანსის პოლიტიკას მომავალი არა აქვს. დიდი და აგრესიული მეზობელი არასოდეს შეურიგდება საკუთარ საზღვრებთან დასავლეთის გავლენის გაზრდას და ყოველთვის ითამაშებს თავლკვერ-მათრახის თამაშს – ან ყველაფერი, ან არაფერი.

ქართველი პოლიტიკოსების ბოლოდროინდელი განცხადებებიდან ჩანს, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში დასრულდა გულუბრყვილო რომანტიზმის ფაზა, როცა რუსეთთან ურთიერთობის ახალი ფურცლით დაწყებიდან სერიოზულ პოზიტიურ შედეგებს ელოდნენ. ტონი უფრო ხისტი გახდა და მოლოდინები – უფრო ადეკვატური.

თუმცა, მხოლოდ ეს არაა გარანტი ქვეყნის დასავლურ სივრცეში დასაბრუნებლად. დასავლეთი, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებათა სისტემაა. ამ ღირებულებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია თანამონაწილეობითი დემოკრატია. ქვეყნის მოქალაქეები ყველა დონეზე უნდა ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს რომ ასე არ არის, ჯერ პრეზიდენტობისა და პრემიერობის უალტერნატივო კანდიდატების ერთპიროვნულმა დასახელებამ ცხადყო, სულ ბოლოს კი – თბილისის მერობის კანდიდატის დანიშვნამ.

საზოგადოება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობას ვერასოდეს აიღებს, თუ ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გარიყავ. უპასუხისმგებლო საზოგადოება კი ვერაფრით გახდება სამოქალაქო.

მოკლედ, სამოქალაქო სექტორს ვერც ანალიზი გააძლიერებს და ვერც კაპიტალი. სამოქალაქო სექტორს გააძლიერებს ნდობა და პროცესების გამჭვირვალობა. ამ სიბრტყეშია დღეს ქართული ევრომეიდანია.

ირაკლი აბსანძე, პოლიტიკის რედაქტორი




მთავარი თემა

# მხისებულების ფასი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმე კვლავ სასამართლოშია. გადანყვეტილების მიხედვით, რომელსაც უზენაესი სასამართლო უახლოეს ხანში გამოიტანს, მრავალმილიონიანი აქტივები ან ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მფლობელობაში დარჩება ან კომპანია „ქართულ ფოლადს“ დაუბრუნდება.

„ვინცებ სამართლებრივ ბრძოლას ქარხნის დასაბრუნებლად. დღეს ამ ქვეყანას სამართლიანობის აღდგენის პირობით მოსული ხელისუფლება ჰყავს და მე ობიექტურობის იმედი მაქვს“, – განაცხადა რამდენიმე თვის წინ ბიზნესმენმა ჯოზეფ ქეიმ, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ „ქართული ფოლადის“ მენეჯმენტს აკონტროლებდა. რა განაპირობებს მის იმედიანობას?




 ზურაბ ვარდიაშვილი 33:38

ანონსი

## ხისებულება და სამართლიანობა: საქართველოს უფლებების აღდგენის ჰოსტის


ათასობით ადამიანი საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას საკუთრების უფლებების უხემ დარღვევაში ადანაშაულებს. საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ დარღვეულ ქონებრივ უფლებებს აღადგენდა. ამის მიუხედავად, მოქმედი საკანონმდებლო რეჟიმი არ იძლევა ქონების დაბრუნების (რესტიტუციის) საკითხებზე წამოჭრილი დავების გადანყვეტის იოლ სამართლებრივ შესაძლებლობას. წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები რესტიტუციული პრობლემის გადანყვეტის ეფექტურ საშუალებას არ იძლევა. შედეგად, წართმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა, რომელთაც პროკურატურა იძიებს, გაყინულია.

 ირაკლი სოკოლოვსკი, ევა ანდერსონი, 33:34

ინტერვიუ

## ზაად ანდრონიკაშვილი: ამომჩრაველი ახალი ყაიღის პოლიტიკური პატივს ითხოვს


ივანიშვილის პოლიტიკიდან „ნასვლა“ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ველში მართალია „ჭარბი წონის“ პოლიტიკური ფიგურები არ გვყავს, სამაგიეროდ ძალიან ძლიერია გარეშე გავლენა პოლიტიკურ ველზე. ამჟამად საპატრიარქო და ივანიშვილი პოლიტიკაში ფორმალურად ჩართულები არ არიან, მაგრამ პოლიტიკაზე ისეთი გავლენა აქვთ, რომელსაც ძნელია რომელიმე აქტიურმა მოთამაშემ (პარტია იქნება, კოალიცია თუ ცალკეული პოლიტიკოსი) გაუძლოს. ასეთი მდგომარეობა ძალიან ცუდია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისათვის.

 ზურაბ ვარდიაშვილი  
83.22

### ფოტოგრაფია

## მუდმივად თავსაფრის ქიზაში




 სოფო აფციაური  
83. 56-63



ბაჩაშკის დასვა

## ქაჩისბან დაუსვებები

ქარსაცავები ბოლოს გასული საუკუნის 80-იან წლებში აღწერეს. საქართველოში 4 ათას ჰექტრამდე ფართობის ქარსაცავი იყო, მათგან 1500 ჰა-მდე გორში იყო, ბოლო 20 წლის განმავლობაში კი მათი ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა. საქართველოში ქარსაცავები 40-იანი წლების შემდეგ გამოჩნდა, თუმცა გარემოსთან ბოლომდე ადაპტირებული მცენარეები არ იყო შერჩეული. ძირითადად მაინც ალვის ხეები გამოიყენებოდა იმის გამო, რომ მაღალი იზრდებოდა და თანაც სწრაფი ტემპით, თუმცა ალვის ხეების სიცოცხლის ხანგრძლივობა არც ისე მაღალია. შედარებით გვიანდელ პერიოდში გაშენებული ქარსაცავებში ალვა უკვე ნაკლებად გვხვდება.

 ეკა მაღალაძე  
83.44

ნომერი:



ფოტო არჩილ თაყაიძე

06 მოკლედ

08 ციტატები

კომენტარი

- 12 უკრაინის მწარე რეალობა
- 16 ვილნიუსის სამიტით არაფერი სრულდება
- 18 საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი

ინტერვიუ

- 22 „ამომრჩეველი ახალი ყაიდის პოლიტიკურ პარტიებს ითხოვს“

პოლიტიკა

- 28 აფხაზებისა და ოსებისკენ – ევროკავშირის გზით
- 34 რესტიტუცია და სამართლიანობა: საკუთრების უფლებების აღდგენის პროცესი

მთავარი თემა

- 38 მტკიცებულების ფასი

გარემოს დაცვა

- 44 ქარისგან დაუცველები

სამხრეთ კავკასიის ხმები

- 50 რატომ ომობს ჩრდილოეთ კავკასია, სამხრეთ კავკასია კი – აღარ?
- 52 კავკასიური ცეკვის შესრულებისთვის რუსეთში სჯიან
- 54 ანქვაბი გამწვავებას არ ერიდება

ფოტოპროექტი

- 56 მუდმივად თავშესაფრის ძიებაში

ფოტო


- 64 გიორგი გოგუა



სამხიჯოთ ჯაჰანსიის ნომერი

## ჯაჰანსიის ნომერი შესჯიჯიბისთვის ხსოთში სჯიან


18 ნომბერს რუსეთის შსს-ს სტავროპოლის მხარის მთავარი სამმართველოს პრეს-სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც არაადგილობრივი სტუდენტების მასობრივი დასჯის შესახებ იტყობინება. ქალაქ კისლოვოდსკის სამედიცინო კოლეჯის 18 სტუდენტი სასწავლო დანესებულებიდან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას „ლეკურის“ ცეკვის გამო გაირიცხნენ. პოლიციის თანამშრომლების აღწერით, მომხდარი ასე გამოიყურებოდა – „სალამოთი ახალგაზრდების ჯგუფმა ყვირილითა და სტვენით შეასრულა ცეკვა „ლეკური“ (უფრო ზუსტი სახელი ამ ცეკვისა იქნება „ლეზგინკა“, ცეკვა, რომელიც საერთოა ყველა ჩრდილოკავკასიელი ხალხისთვის).



ჯომანსიხი

## საქსოველოს პოლიტიკური ცანდშაფტი

საქართველომ ახალ საკონსტიტუციო რეალობაში გადაინაცვლა, სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა შერეული მოდელით ჩანაცვლდა. ამიერიდან, მინისტრთა კაბინეტისა და საკანონმდებლო ორგანოს გავლენა საგრძნობლად გაიზრდება. ნებისმიერი პარლამენტზე ორიენტირებული რეჟიმის დასაყრდენს კი ძლიერი და მყარი, სოციალურ ინსტიტუტებად ჩამოყალიბებული პარტიები წარმოადგენენ. ჩვენთან პოლიტიკური ორგანიზაციების იდეოლოგიებზე, მათ ღირებულებებზე იშვიათად საუბრობენ. ქართველ პოლიტიკოსებს არ უყვართ თავიანთი მიზნების მკაფიოდ დეკლარირება.



გამოცემალი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, აბაშიძის ქ. 65/67. ტელ.: (995 32) 2470246  
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაჭვვა:


შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.  
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 1 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.  
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

# არ გამოტოვოთ წლის ბოლო აქცია!

Y

$$\text{BONUS} = \left( 500 \text{ GEL } \left( \text{საწვავი} \right) + \left( \text{6 თვე} \right) \right)$$





GEL / USD / EUR

X

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია



290 90 90

\* 90 90

BR.GE



**ჩიკაგო უკრაინის ევროპული ინტეგრაციის მომხრე ათასობით სტუდენტის საპროტესტო აქციები გაიმართა. მოქალაქეები აპროტესტებენ მთავრობის გადაწყვეტილებას, არ მოაწეროს ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. პოლიტიკურ ლიდერებს შორის, რომლებმაც კიევში, შევჩენკოს მოედანზე შეკრებილ სტუდენტებს მიმართეს, იყო პარტია „უდარის“ ხელმძღვანელი, ვიტალი კლიჩკო. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, პატიმრობაში მყოფმა იულია ტიმოშენკომ ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრეთა მიმართ სოლიდარობის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა.**

**საქართველო-უკრაინის ასოციაციის შეთანხმება უკრაინის ხელისუფლების**

ვილნიუსში საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირება დასრულდა. 1000-გვერდიანი დოკუმენტის პარაფირება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძესთან ერთად განახორციელა. დავით ზალკალიანის განცხადებით, დღევანდელი დღე ისტორიულია. მისი შეფასებით, ამიერიდან საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი შეუქცევად ხასიათს იღებს. როგორც ზალკალიანმა ჟურნალისტებს უთხრა, ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირებით, საქართველო ევროპასთან ინტეგრაციის იურიდიულ ჩარჩოებში ექცევა.

**ჩინეთის მოსახლეობის უმეტესობა საჩივრებს და ჩინეთის შიხის ჩითიჩითობის ბაზაობას ეწინააღმდეგება**

საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთის მოქალაქეები საქართველოს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილის არჩევის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას ელიან. სააგენტო სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის (ВЦИОМ) მონაცემებს ეყრდნობა. „ВЦИОМ“-ის მკვლევრებმა 2-3 ნოემბერს რუსეთის 42 რეგიონის 130 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 1300 ადამიანი გამოკითხეს. სოციოლოგების ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქეები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ხუთბალიან შკალაზე 2,74 ბალით აფასებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ორი ქვეყნის ურთიერთობაზეც აისახება – რესპონდენტთა თითქმის ნახევარს – 44%-ს მიაჩნია, რომ ეს გავლენა ნეგატიური იქნება. საპირისპირო აზრისაა გამოკითხულთა 13%, 27% კი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ნატოში განევრინება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე არ იმოქმედებს. კვლევის სტატისტიკური ცდომილება 3,4% არ აღემატება.

**მედიის თავისუფლების ინდექსით საქართველო მეორე ადგილზეა ბალტიისპირა რეგიონში**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის „მედიის თავისუფლების ინდექსში“ საქართველო მეორე ადგილზეა, მაშინ, როცა ოქტომბრის თვის ინდექსით საქართველო პირველ ადგილზე იყო. „ინტერნიუსი უკრაინის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, აღმოსავლეთ




პარტნიორობის ქვეყნებს შორის პრესის თავისუფლების მხრივ ყველაზე თავისუფალი მოლდოვაა, რომელიც პირველ ადგილზეა და 6 ქულით უსწრებს საქართველოს. ამის შესახებ ინფორმაციას Mediafreedomwatch.org ავრცელებს. „მედიის თავისუფლების ინდექსში“ მესამე და მეოთხე ადგილზე სომხეთი და უკრაინა არიან, მეხუთეზე – აზერბაიჯანი, მეექვსეზე კი – ბელორუსია.

კვლევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში 2013 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე პერიოდის მდგომარეობას ასახავს.

**წილი სასაქონლო სისტემისადმი: 2009-2013 წლების ენაშია**

CRRC „კავკასიის ბარომეტრის“ თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს სასამართლოები ყველა მოქალაქეს სამართლიანად ექცევა და არავის ანიჭებს უპირატესობას. საპირისპირო მოსაზრებას კი ჯერჯერობით თითქმის ორჯერ მეტი ადამიანი იზიარებს. მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, 2009-დან 2013 წლამდე საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გაზრდის ცალსახა ტენდენცია არ ჩანს. კითხვაზე, „რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს სასამართლო სისტემას?“ 2013 წლის წინასწარი მონაცემების თანახმად დადებითი პასუხი 22%-მა გასცა, 2011 წელს ეს მაჩვენებელი 31%-ს შეადგენდა, ხოლო 2009 წელს – 25%-ს. „კავკასიის ბარომეტრი“ არის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) ყოველწლიური გამოკითხვა, რომელიც ტარდება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. 2012 წლის გამოკითხვა ჩატარდა ოქტომბრის ბოლოს—ნოემბრის დასაწყისში. საქართველოში გამოკითხული იქნა 2502 რესპონდენტი ქვეყნის ყველა რეგიონში.





2013 წლის შედეგების დამუშავება მალე დასრულდება, ოქტომბრის თვეში ჩატარებულია 2152 ინტერვიუ. „კავკასიის ბარომეტრის“ შედეგები წარმომადგენლობითია საქართველოს მოსახლეობისთვის. შედეგები შენონილია. ცენტრის კვლევების შედეგები ხელმისაწვდომია საიტზე [www.crrc.ge](http://www.crrc.ge).

**იხანის ბიხთვჯი ჰიოხიამაზა შათანსება მილწაილი**

თითქმის სამდღიანი მოლაპარაკებების შედეგად, ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო ამ ქვეყნის და მსოფლიოს წამყვანი ექვსი ქვეყნის (ეგრეთ წოდებული 5+1) წარმომადგენლებმა წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს.

შეთანხმების თანახმად, ირანი ვალდებულია, დასაწყისითვის ექვსი თვით, ბირთვული პროგრამის ზოგიერთი ელემენტი შეაჩეროს, საპასუხოდ კი მის მიმართ დაწესებული სანქციები შერბილდება.

**ფხანჯილი სააბანსოს კჷსი თანამოხიოძის მავჯილობა ავლანთში**

ავლანეთის ჩრდილოეთში, სავარაუდოდ თალიბანის ექსტრემისტებმა, ფრანგული სააგენტოს ექვსი ავლანელი თანა-

მშრომელი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. პროვინციის მმართველის პრესმდივნის ცნობით, ტექნიკური თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს ავლანელი მუშაკები მაშინ მოკლეს, როცა ისინი ქალაქ მაიმანადან ალმარის რაიონში მიემგზავრებოდნენ. პრესმდივნის ინფორმაციით „თალიბანის მეთაურობებმა“ მანქანა გააჩერეს და მგზავრები დახოცეს. დაჭრილია ერთი პირი. პარიზში სააგენტოს სათაო ოფისმა განცხადება გაავრცელა და მკვლელობები დაგმო. ეს სააგენტო ავლანეთში 34 სარეკონსტრუქციო პროექტს ამუშავებს. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არავის უკისრია.

**სიჩიის ჰიოხიი იახლის ალჷხივილობა ბანადეჰიხაბილი**

საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით, სირიაში ქიმიური იარაღის წარმოების, შერევისა და შევსების მოწყობილობები განადგურებულია.


აღნიშნული ინფორმაცია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) მიერ დაწესებული ბოლო ვადის ამონაწერამდე ერთი დღით ადრე გავრცელდა.

ინსპექტორები სირიაში მას შემდეგ გაგზავნეს, რაც ქვეყნის სახელისუფლებო ძალების მიერ, დასახლებულ

პუნქტში ქიმიური იარაღის გამოყენებას ასობით ადამიანის სიცოცხლე შეენირა. სირიის ხელისუფლება ამ ბრალდებას დღემდე უარყოფს და მომხდარში ამბოხებულებს ადანაშაულებს.

ინსპექტირების საკითხი რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მას შემდეგ შეთანხმდა, რაც ცნობილი გახდა, რომ აშშ სირიის კონფლიქტის მოგვარებას სამხედრო ძალის გამოყენებით გეგმავდა.

არსებული ინფორმაციით, სირიის არსენალი 1000 ტონაზე მეტ სხვადასხვა ქიმიურ საშუალებას მოიცავს.

„პირადად ვაკვირდებოდი ქიმიური იარაღის წარმოების, შერევისა და შევსების მოწყობილობების განადგურების პროცესს. ახლა მათ ქიმიური იარაღის წარმოების, ან შერევის საშუალება არ აქვთ, – განაცხადა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა. 





„ამერიიდან მე ვიქნები საზოგადოების აქტიური წევრი, ჩემი საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე და, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ ვთვლი, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას. სხვანაირად როგორ შეიძლება იყო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი?“

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი**



„ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი საქმით ვილაპარაკოთ. თქვენ თუ გადახედავთ, ჩვენ არასდროს მივმართავდით პროპაგანდას და ყოველთვის საქმით ვხელმძღვანელობდით. ეს იყო სტილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა. ეს არის გზა, რომელიც მე გავაგრძელებ, რომელსაც გააგრძელებს მთავრობა და პარლამენტი. ჩვენ გვირჩევნია ხალხს ვაჩვენოთ საქმე და არ ვილაპარაკოთ. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ხალხის მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური და სხვა სფეროები“.

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი**



„რუსეთი და საქართველო დაინტერესებულები არიან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბებით, ეს ურთიერთობები გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი“.

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი**



„მე ვერ შევძელი ყველაზე მთავარი – მე ვერ დავიცავი ქართველი პოლიციელები. ვერ დავიცავი ისინი, ვინც არ გატყდა და ამიტომ მათ წინააღმდეგ საქმეები აღიძრა და ისინიც, ვინც გატყდა და პროკურატურის დავალებით ცრუ ჩვენებებს იძლევიან. მე ბოდიშს ვუხდი მათაც, ვინც განსასჯელის სკამებზე სხედან და მათაც, ვინც მათ წინააღმდეგ ჩვენებებს იძლევიან“.

**ვანო მერაბიშვილი**

სანი  
გუნჯაგარი




## სასხების გათამაშება

მოიგეთ BMW X5 და უამრავი პრიზი ყოველდღე!

ჩაერთეთ გათამაშებაში - აიღეთ:

- სამომხმარებლო ან იპოთეკური სესხი
- განვადება
- საკრედიტო ბარათი

LOAN RAFFLE



თიბისი ბანკი  
TBC BANK

თქვენ გვართობ

☎ 221 21 21

✉ - 27 27

www.tbcbank.ge

# „უზარმაზარი პროგრესი უზარმაზარ გამონაკლებებთან ერთად“

გაეროს ახალი მუდმივი კოორდინატორი საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ



10 დეკემბერს მსოფლიო და საქართველო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. 65 წლის წინ, 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო.

დოკუმენტი, რომელიც მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს აწესებს, საქართველოშიც აღიარებულია. 1991 წელს ქვეყნის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით დეკლარაცია ოფიციალურად შევიდა ძალაში, მისი ღირებულებები ასახულია კონსტიტუციაში და 10 დეკემბერიც ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება.

რამდენად სრულდება ქალაქებში დეკლარირებული პრინციპები საქართველოში? ეს შეკითხვა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია – ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლება ორჯერ შეიცვალა არჩევნების გზით, თუმცა 2012-2013 წლების კალენდარზე 1 და 27 ოქტომბერთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს 17 მაისიც იკავებს.

გაეროს ახალი ხელმძღვანელი საქართველოში, ნილს სკოტი, თვლის, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთი წინადადებით ასე შეფასდებოდა

– „უზარმაზარი პროგრესი საკანონმდებლო ჩარჩოში და უზარმაზარი გამოწვევები მისი აღსრულების კუთხით“.

გაეროს მუდმივი კოორდინატორის რანგში ნილს სკოტი სულ ორი თვეა მუშაობს, თუმცა საქართველოსთან ეს მისი პირველი შეხება არ არის. 1997-2000 წლებში ის წითელი ჯვრის ფედერაციის ხელმძღვანელობდა. ამბობს, რომ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ცვლილება, რომელიც თითქმის 15-წლიანი პაუზის შემდეგ შეამჩნია, ადამიანის უფლებათა სფეროში კანონმდებლობის დახვეწა და მთავრობის მიერ ამ მხრივ ჩატარებული უდიდესი სამუშაოა. მისი აზრით, დღეს საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა ერთი მხრივ სამართლებრივი ჩარჩოს აღსრულება, მეორე მხრივ კი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

„მთავარი გამოწვევა მოქალაქეების მიერ საკუთარი უფლებების ცოდნა, გააზრება და იმაში დარწმუნებაა, რომ ეს უფლებები საკმარისადაა დაცული. საქართველო ტოლერანტობის უდიდესი ტრადიციის მქონე ქვეყანაა. მისი ისტორია უკავშირდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მშვიდობიან თანაცხოვრებას, რელიგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებას. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა როგორც მთავრობის, ასევე მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.“

გაეროს მუდმივ კოორდინატორთან საუბრიდან ირკვევა, რომ უმცირესობათა უფლებები ქვეყნის ერთადერთი გამოწვევა არ არის. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებული კვლევის – „ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“ – მიხედვით, სხვადასხვა სახის მოწყვლადობის რისკი ეხება ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტს.

“მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა, ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ეკონომიკურად და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებია. მაგრამ როდესაც ადამიანის უფლებებზე და მათ დარღვევაზე ვსაუბრობთ, თავს ვერ ავარიდებთ რელიგიური შეუწყნარებლობის ახლახან მომხდარ შემთხვევებსა და ჰომოფობიის გამოვლინებებს. უმცირესობათა უფლებები და მრავალფეროვნების პატივისცემა ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება მოწყვლადობაზე საუბრისას.“

ნილს სკოტი ასევე ეხება 17 მაისის მოვლენებს, როდესაც თბილისში დაარბიეს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია. იმ დროს ის საქართველოში არ იმყოფებოდა, თუმცა ინფორმაციას ფლობს და მიიჩნევს, რომ მთავარი, რაც მთავრობამ, ეკლესიამ და საზოგადოებამ უნდა გააკეთოს კიდევ ერთი 17 მაისის თავიდან ასაცილებლად, ძალადობის დაგმობაა.

„პირველ რიგში აუცილებელია სათანადო სამართლებრივი რეაგირება ძალადობაზე და როგორც სახელმწიფოს, ასევე რელიგიური ლიდერების მყარი პოზიცია ძალადობის დაგმობის საკითხებში. ასევე მეტად მნიშვნელოვანია თავად მოსახლეობის მიერ იმის გაცნობიერება, თუ რა არის ადამიანის უფლებები.“

კიდევ ერთი საკითხი, სადაც საზოგადოების პოზიცია გადამწყვეტია, მდგომარეობა კი არც თუ ისე სახარბიელო, გენდერული თანასწორობის აღქმაა. სულ ახლახან გამოქვეყნდა კვლევის შედეგები „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ პოლიტიკასა და ბიზნესში“. კვლევა, რომლის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 1760 ადამიანი გამოიკითხა, გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით ჩატარდა.

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე. გამოკითხულთა 88 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოჯახის მარჩენალი მამაკაცი უნდა იყოს, საოჯახო საქმეები კი ქალის მოვალეობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს პოლიტიკაში ქალის როლსაც. საზოგადოებისათვის მისაღები ქალის თვისებებია „ოჯახისთვის თავდადებული“, „კარგი დისახლისი“, „მორჩილი“ „მომთმენი“, „გამძლე“.

ნილს სკოტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გენდერულ როლებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს იზიარებენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები და სხვადასხვა რეგიონის მაცხოვრებლები.

„საზოგადოებრივი აღქმა კვლავაც ანიჭებს მამაკაცს დომინანტურ როლს საქართველოს საზოგადოებაში, ბიზნესში, პოლიტიკაში.

ვფიქრობ სანამ ეს წარმოდგენა არ შეიცვლება, გენდერული თანასწორობა გამოწვევად დარჩება.“

გაეროს მუდმივი კოორდინატორი თვლის, რომ გამოსავალი უკვე არსებული კანონმდებლობის აღსრულებასა და სამოქალაქო განათლებაშია.

„პირველ რიგში საჭიროა ადვოკატირება, საზოგადოების ინფორმირება, ცვლილებები მედიის მიერ ამ საკითხების გაშუქებაში. თქვენ, ჟურნალისტებს, შეგიძლიათ მოწინავე როლი შეასრულოთ საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შეცვლაში. მნიშვნელოვანია იმ ბარიერების გადალახვა, რომლებიც ხელს უშლის ქალებს აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით, ბავშვთა მოვლის სისტემის გაუმჯობესებაც მნიშვნელოვანია. ეს დაეხმარება ქალს უფრო აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით გაერო მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. მისი სამი სააგენტო – გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) მხარს უჭერს საქართველოში ქალების გაძლიერებას და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. შედეგის მთავრობის მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ უკვე გამოიღო კონკრეტული შედეგი და მომავალშიც გაგრძელდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოში 1993 წლიდან მუშაობს – მთავარი მიზნით – მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოსახლეობასთან ერთად ხელი შეუწყოს ქვეყნის წარმატებას და განვითარებას. ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელის თქმით, ადამიანის უფლებების დაცვა ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

„წელს 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო საზოგადოებამ ვენის სამოქმედო გეგმით აღიარა ყველა უფლების თანაბარი პატივისცემა, ურთიერთდამოკიდებულება და განუყოფელობა. ასევე შეიქმნა ადამიანის უფლებათა სფეროში გაეროს უმთავრესი ორგანო – ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი“.

„გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი, კოფი ანანი, ამბობდა, რომ პირველ რიგში აუცილებელია უსაფრთხოება, შემდეგ – ადამიანის უფლებები, ხოლო შემდეგ – განვითარება. უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია ადამიანის უფლებების დაცვა, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე ვერ მიაღწევ განვითარებას. ეს გამონათქვამი ეხმიანება იმას, რასაც საქართველოში უკვე 20 წელია ვაკეთებთ. დიდ ყურადღებას ვუთმობთ სასამართლო სისტემის რეფორმირებას, სამოქალაქო განათლებას, თანასწორობისა და ტოლერანტობის კულტურის განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების – მაგალითად, სახალხო დამცველის, გაძლიერებას. ადამიანის უფლებები გაეროს საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასე იყო საქართველოში გაეროს მუშაობის პირველივე დღიდან და მომავალშიც ასე გაგრძელდება“.





# უხიარნის მნაჲ ხანცობა

ვასო კუჭუხიძე

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირის ინტერესს უკრაინის მიმართ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. თითქოს, კიევისთვისაც მიმზიდველი ჩანდა ევროპისკენ მიმავალი გზა. შესაბამისად, ანალიტიკური პროგნოზებით, ვილნიუსში ევროპისა და უკრაინის ურთიერთობებში ახალი ერა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კიევის მხრიდან სამიტამდე ერთი კვირით ადრე გამოცხადებულმა უარმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არამარტო უკრაინის ევროპული არჩევანი, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალიც.

კიევის უარს წინ უსწრებდა ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლის, პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ ევროკავშირი ვილნიუსის სამიტზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, ხელს არ მოაწერს შეთანხმებას უკრაინასთან, რადგანაც კიევი არასერიოზულად მიუდგა ევროკავშირის მოთხოვნას იულის ტიმოშენკოს გათავისუფლების შესახებ. საპასუხოდ უკრაინის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ წყვეტს ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისთვის სამზადისს. მოგვიანებით ბრიუსელში შეეცადნენ ვითარების განმუხტვას და უკრაინას მოლაპარაკებების გაგრძელება ტიმოშენკოს საკითხის განხილვის გარეშე შესთავაზეს, მაგრამ კიევის პოზიცია მტკიცე აღმოჩნდა.

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ გადაწყვეტილებას ბრიუსელის მხრიდან არასაკმარისი დახმარების შეთავაზებით და შანტაჟისშემცველი მოთხოვნების წაყენებით ხსნიან.



პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის განცხადებით, ევროკავშირის მიერ უკრაინისთვის შეთავაზებული დახმარება ვერ აანაზღაურებს იმ ზარალის მესამედსაც კი, რაც ამ ხელშეკრულების ხელმოწერით რუსეთ-უკრაინის ეკონომიკურ ურთიერთობებს მიადგება. მისი თქმით, უკრაინა მხოლოდ მაშინ გადავა თანამშრომლობის ახალ ეტაპზე ევროკავშირთან, როდესაც ეს მის ინტერესებში იქნება და ბრიუსელი მას თანასწორი პარტნიორობისთვის შესაფერის პირობებს შესთავაზებს.

საკუთარი ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ალაშფოთა უკრაინის მოსახლეობის პროვერპულად განწყობილი ნაწილი. ქვეყნის რამდენიმე ქალაქში გამართული სპონტანური სტუდენტური აქციები, საპარლამენტო ოპოზიციის ჩართვის შემდეგ, მასშტაბურ აქციებში გადაიზარდა. ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარ“ გამოსვლების მთავარ ორგანიზატორად იქცა. საპროტესტო აქციებს სოლიდარობა გამოუცადა პატიმრობაში მყოფმა იულის ტიმოშენკომ, რომელმაც ევროკავშირს სთხოვა, მისი საკითხი მოლაპარაკების პროცესიდან ამოეღოთ, რადგანაც შექმნილ ვითარებაში მთავარია არა მისი გათავისუფლება, არამედ უკრაინის მომავალი.

ამას გარდა, ტიმოშენკომ საკუთარ მხარდამჭერებს და სხვა ოპოზიციურ პარტიებს საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდა, რის შემდეგაც კიევი ორ ჯგუფად დაყოფილმა დემონსტრანტებმა იდეოლოგიური დაპირისპირება დროებით დაივიწყეს. ევროპის მოედანზე დაბანაკებულმა გამომსვლელებმა კარვები აშალეს და დამოუკიდებლობის მოედანზე მყოფ საკუთარ თანამოქალაქეებს შეუერთდნენ. შედეგად, გაერთიანებულმა ოპოზიციამ, 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, ქვეყნის ისტო-





რიაში ყველაზე დიდი გამოსვლების ორგანიზება შეძლო.

ხელისუფლების პირობის მიუხედავად, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალისმიერ მეთოდებს არ გამოიყენებდა, პოლიციამ ცრემლსადენი გაზის საშუალებით რამდენიმეჯერ სცადა აქციების დაშლა, რასაც დემონსტრანტებსა და ძალოვანებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც დემონსტრანტების ყველაზე რადიკალური მოთხოვნების მომხრე ჯგუფმა მთავრობის სახლის ბლოკირება სცადა.

საპროტესტო მუხტის განელება ხელისუფლებამ რიტორიკის შერბილებით სცადა. პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი აზაროვის განცხადებით, ევროკავშირთან დაახლოება ერთ დღეში არ მთავდება და ურთიერთობის მომავალი ბრიუსელის ნაბიჯებზეა დამოკიდებული. იმის სადემონსტრაციოდ, რომ უკრაინა არ წყვეტს ევროპისთან ინტეგრაციის პროცესს და სრული სერიოზულობით ეკიდება საკითხს, პრეზიდენტი იანუკოვიჩი თავად ჩაუდგა სათავეში ვილნიუსში ჩასულ უკრაინულ დელეგა-

ციას. თუმცა, მისივე თქმით, კიევი გადანყვეტილებას არ შეცვლის და ვილნიუსის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს.

საინტერესოა, რა გაგრძელება მოჰყვება მოვლენებს ვილნიუსის სამიტის დასრულების შემდეგ. ოპოზიციური ძალები შეთანხმდნენ, რომ საპროტესტო აქციების ერთადერთი მოთხოვნა ევროკავშირთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ყოფილიყო და თუ უკრაინის ხელისუფლება ვილნიუსში ამ მოთხოვნას არ გაითვალისწინებდა, მაშინ საპროტესტო აქციები ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით გაეგრძელებინათ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, საპროტესტო გამოსვლები უფრო მეტი სიმწვავეით გაგრძელდეს და ქვეყანა პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვას. ამან კი, დასავლეთის მხრიდან მწვავე რეაქციასთან ერთად, შესაძლოა, კიევის საკუთარი პოზიციის გადახედვისკენ უბიძგოს.

ფორმალურად, უკრაინას ვილნიუსის სამიტის შემდეგაც შეუძლია ხელი მოაწეროს ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირის ნებისმიერ მინისტრიალზე. ■

პოლიტიკა

# ვილნიუსის სამიტი ახაფუხი სხედება

ვილნიუსის სამიტი არაფერი სრულდება.

სამიტიდან ხელშეკრულების ხელმოწერამდე საკმაოდ რთული პერიოდი იქნება.

ბეჟან სვანიძე

ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს მასპინძლობს. სამიტის მიმართ ჩვენში მაღალი მოლოდინია. სამიტი რუბიკონია, რომლის გადალახვით ევროკავშირს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებით. მთელი ყურადღება ვილნიუსისკენ არის.

თუმცა ვილნიუსის სამიტი უფრო შოუა, ერთგვარი წარმოდგენა

დოკუმენტზე ხელმოწერით, ინიციალების დასმით, ლიდერების ხელის ჩამორთმევითა და ოჯახური ფოტოთი. ვილნიუსში არაფერი მთავრდება. უფრო პირიქით, ყველაფერი ვილნიუსის შემდეგ იწყება. საქართველოს წინ მართლაც მნიშვნელოვანი გამონწვევები ელოდება.

ვილნიუსში საქართველოსა და ევროკავშირის წარმომადგენლები ასოცირების ხელშეკრულებაზე ინიციალებს დასვამენ, რაც მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს – ათას ორასგვერდიანი ტექსტი შეთანხმდა – სულ ეს არის! ხელშეკრულება კი ძალაში არ შედის.

პროცედურულად აღნიშნული დოკუმენტი ევროკავშირის ქვეყნების 24 სამუშაო ენაზე უნდა ითარგმნოს, ხელი მოეწეროს და ამის შემდგომ 28 ნვერი ქვეყნის პარლამენტმა, პლუს ევროპისა და საქართველოს პარლამენტებმა, მისი რატიფიცირება უნდა მოახდინონ. მხოლოდ მას შემდეგ ამოქმედდება ის სრულად.

კითხვაზე, რა ვადებში მოხდება ხელშეკრულების რატიფიცირება, ცალსახა პასუხი არ არსებობს. თუ ისტორიულ პარალელს გავაღებთ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დღემდე მოქმედ პარტნიორობისა და თანამშრომლობის



ხელშეკრულებას ხელი 1996 წლის აპრილში მოეწერა, რატიფიცირების პროცედურამ ევროკავშირის ქვეყნების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში სამ წელიწადზე მეტი ნაილო და დოკუმენტი ძალაში 1999 წლის 1 ივლისს შევიდა. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც – მაშინ ევროკავშირში 15 წევრი ქვეყანა იყო. დღეს

კი ეს გაერთიანება 28 ქვეყანას უყრის თავს.

ევროკავშირი ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას მანამდე გეგმავს, ვიდრე მოქმედ ევროკომისიას უფლებამოსილების ვადა ამოეწურება. ევროკომისიის ამ შემადგენლობას უფლებამოსილება 2014 წლის ოქტომბერში უსრულდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულებას ხელი სწორედ ამ დრომდე უნდა მოეწეროს.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ პირობითად ამოქმედდება მისი სავაჭრო ნაწილი, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას გულისხმობს. მარტივი ენით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებმა ევროპის ბაზარზე პროდუქციისა და მომსახურების გატანა ადვილად უნდა შეძლონ.

ხელშეკრულების ეს ნაწილი პირდაპირ კავშირშია რუსეთის მიერ ინიცირებულ საბაჟო კავშირთან. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლა იმას ნიშნავს, რომ საბაჟო კავშირზე არა მარტო სიტყვის, არამედ საქმის დონეზე უარს ვამბობთ და ამ თემაზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ორჭოფულ პასუხს – „რატომაც არა“ – ცალსახად უარყოფითი პასუხი გაცევმა.

რეალურად რუსეთს 10 თვე რჩება იმისთვის, რომ საქართველოს ევროკავშირთან ერთიან სავაჭრო სივრცეზე ხელი ააღებინოს და სომხეთის მსგავსად, საბაჟო კავშირისკენ მიმავალ გზას გაუყენოს.

პერიოდი ვილნიუსის სამიტიდან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ძალიან რთული იქნება.

ამ სტატიის წერის მომენტში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი უკრაინის ბედი. არავინ იცის, ევროკავშირი თვალს დახუჭავს იმ მოთხოვნებზე, რომელიც უკრაინას წაუყენა და ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, თუ თავის პრინციპებს უერთგულებს, უკრაინას წაყენებული პირობების დაუკმაყოფილებლობას (საარჩევნოდ და გენერალური პროკურატურის შესახებ კანონების მიღებას და ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშჩენკოს გერმანიაში სამკურნაოდ გაშვებას) არ აპატიებს და ხელმოწერის პროცედურას გაურკვეველი პერიოდით გადადებს. ხელმოწერლობა ავტომატურად რუსეთის გამარჯვებად აღიქმება, რუსეთის გამარჯვება კი სხვა არაფერია, თუ არა აღმოსავლეთ პარტნიორობის მარცხი. 45-მილიონიანი მოსახლეობის მქონე უკრაინის შემდეგ დიდია იმის ალბათობა, რომ 3-მილიონიანი მოლდოვისა და 4-მილიონიანი საქართველოს ჯერი დადგეს.

მომავალ წელს ევროკავშირის ბევრი შიდა გამოწვევა ელოდება და აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის შესაძლოა ისე ვეღარ მოიცალოს, როგორც ამას დღეს ახერხებს.

პირველი – 2014 წლის 22-25 მაისს ევროპარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს და ევროკავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავიდან უნდა დაკომპლექტეს.

მეორე – ევროკომისიის მოქმედ შემადგენლობას უფლებამოსილება 2014 წლის 1 ოქტომბერს ენურება და მომავალი წლიდან ნევრ ქვეყნებს შორის აქტიურად დაინწყება ლობირება ევროკომისიის მომავალ შემადგენლობაში პოსტების გადანაწილებაზე. წარსული გამოცდილება იმასაც აჩვენებს, რომ ევროკომისრები ცდილობენ ვადის ამონურვამდე გადადგენენ, რათა სხვა საქმიანობით დაკავდნენ ან ევროკომისიის მომავალ შემადგენლობაში სხვა პოსტის ჩასაბარებლად თადარიგი ადრევე დაიჭირონ.

მესამე – მომავალი წლის პირველ და მეორე ნახევარში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნები, შესაბამისად საბერძნეთი და იტალია იქნებიან, რომელთათვისაც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს აღმოსავლეთ პარტნიორობა და მასში მონაწილე ქვეყნები ნაკლებად წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ასევე მოლდოვაში 2014 წელს ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნები. ალბათობა იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ამ ქვეყანაში პარლამენტში კომუნისტური პარტია მოვიდეს, საკმაოდ მაღალია. თავის მხრივ, კომუნისტური პარტია წინააღმდეგია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაძლოა, პარლამენტში მისი რატიფიცირება არ მოახდინოს.

საგულისხმოა, მოლდოველ სოციოლოგთა ასოციაციის მიერ ოქტომბრის ბოლოს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 42%-ი მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციას, ხოლო 38%-ი მოლდოვის რუსეთის მიერ ინიცირებულ საბაჟო კავშირში განწევრიანებას ემხრობა.

მეორე მხრივ, საქართველოს დიდი გამოწვევები ქვეყნის შიგნითაც ელოდება. პირველ რიგში, ეს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ბედს უკავშირდება. საქართველოს ხელისუფლება ორ ცეცხლს შუაა, რადგან ერთი მხრივ, მოსახლეობაში არსებობს

მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლება მის წინააღმდეგ გამოძიებას დაიწყებს, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირში ამის წინააღმდეგნი არიან. ამასთან 2014 წელს საქართველოში ადგილობრივ დონეზე მორიგი არჩევნები ჩატარდება, რომელსაც ევროკავშირი დიდი ყურადღებით დააკვირდება.

ვილნიუსის სამიტი არაფერი სრულდება. ვილნიუსის სამიტიდან ხელშეკრულების ხელმოწერამდე პერიოდი საკმაოდ რთული იქნება. ეს სირთულე რუსეთის შესაძლო ზენოლას, ევროკავშირის შიდა საქმეებზე გადართვას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველაზე დიდი მოთამაშის, უკრაინის დაკარგვას, მოლდოვაში ანტიევროპული კომუნისტური პარტიის პარლამენტში მოსვლას, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის შემდეგ ბედს და ქვეყანაში ჩასატარებელ ადგილობრივ არჩევნებს უკავშირდება. ■

**■ თუმცა ვილნიუსის სამიტი უფრო შოუა, ერთგვარი წარმოდგენა დოკუმენტზე ხელმოწერით, ინიციალების დასმით, ლიდერების ხელის ჩამორთმევითა და ოჯახური ფოტოთი. ვილნიუსში არაფერი მთავრდება. უფრო პირიქით, ყველაფერი ვილნიუსის შემდეგ იწყება. საქართველოს წინ მართლაც მნიშვნელოვანი გამონვევები ელოდება.**

პოლიტიკა

# საქართველოს პოლიტიკური ცანცვრები

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი უკვე შეუდგა საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას. მმართველმა კოალიციამ ახალი პრემიერისა და მთავრობის წევრების ვინაობაც გვამცნო. ბევრს ჰგონია, რომ მაგელანის სრუტე უპრობლემოდ გადავლახეთ და მოჩვენებითად წყნარ ოკეანეში ვაგრძელებთ მოგზაურობას. სინამდვილეში კი, მომავალი პოლიტიკური პროცესი არც თუ ისე მშვიდი უნდა აღმოჩნდეს.

ლევან ლორთქიფანიძე

საქართველომ ახალ საკონსტიტუციო რეალობაში გადაინაცვლა, სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა შერეული მოდელით ჩანაცვლდა. ამიერიდან, მინისტრთა კაბინეტისა და საკანონმდებლო ორგანოს გავლენა საგრძნობლად გაიზარდა. ნებისმიერი პარლამენტზე ორიენტირებული რეჟიმის დასაყრდენს კი ძლიერი და მყარი, სოციალურ ინსტიტუტებად ჩამოყალიბებული პარტიები წარმოადგენენ. ჩვენთან პოლიტიკური ორგანიზაციების იდეოლოგიებზე, მათ ღირებულებებზე იშვიათად საუბრობენ. ქართველ პოლიტიკოსებს არ უყვართ თავიანთი მიზნების მკაფიოდ დეკლარირება. მიუხედავად წინააღმდეგობისა, მოდით, მაინც შევეცადოთ რთული გამოცანისათვის პასუხის მოკლედ გაცემას.

რა ტიპის პარტიები არსებობენ ჩვენს ქვეყანაში?

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების ყველა ბერკეტი უკიდურესად ეკლექტური და ძალიან მრავალფეროვანი კოალიციის ხელშია თავმოყრილი. სამთავრობო ლოკომოტივის წელიწადნახევრის წინ დაარსებული პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარმოადგენს. მის შემადგენლობაში ყველა „პოლიტიკური რჯულის“ ადამიანია გაერთიანებული. პარტიის წევრები ყოფილი ახალი მემარჯვენეები, ექსკომუნისტები, სოციალისტური თუ ნაციონალისტური ჯგუფების ლიდერები არიან. შესაბამისად, ორგანიზაციის პოლიტიკური იდენტობის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია.

საბოლოოდ, იგი ერთგვარ გულშემატკივართა კლუბად შეგვიძლია მოვიხსენიოთ, რომლის უპირატესი ამოცანა ბიძინა ივანიშვილის ფავორიტებისა და კეთილისმყოფელების კონსოლიდირება გახლავთ. დასავლური ლობის უზრუნველყოფის მიზნით კი, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ ოჯახში გაერთიანებას ესწრაფვის. ამ შესანიშნავი ოჯახის წევრებთან მას მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს – ბიუჯეტის ზოგად პრიორიტეტად სოციალური ხარჯების გამოცხადება.

სახელისუფლებო ბანაკშივე ვანწყებით რესპუბლიკურ პარტიასაც, რომელიც პარტნიორობთან შედარებით ყველაზე მონესრიგებულ და თანმიმდევრულ გაერთიანებად მიიჩნევა. ოცდათხუთმეტწლიანი გამოცდილების მქონე ჯგუფს გამოკვეთილი ღირებულებები და პოლიტიკური პრინციპები აქვს. „რესპუბლიკელები“ ძირითად ყურადღებას პიროვნულ თავისუფლებაზე, ინდივიდუალიზმზე, დაურეგულირებელ საბაზრო ეკონომიკაზე, მინიმალურ სახელმწიფოსა და მკაცრ მერიოკრატიაზე ამახვილებენ. ისინი სამართლიანად შეგვიძლია მოვიხსენიოთ თანამედროვე ყაიდის ლიბერალურ-დემოკრატიულ ძალად. ევროპული ანალოგებისაგან ქართულ პარტიას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი გამოარჩევს. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები „რესპუბლიკელთა“ სოციალურ ბაზას არ წარმოადგენენ, პარტიას ხში-

**■ ასე რომ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულია კონსერვატიული, ლიბერალური და ავტორიტეტზე ორიენტირებული გაერთიანებებისაგან დაკომპლექტებული არაერთგვაროვანი კოალიცია. სამთავრობო გუნდის პოლიტიკური იდეოლოგია ზედმეტად მოქნილი და ბუნდოვანია, რაც ამომრჩეველთა ხმების მაქსიმალიზაციის სურვილიდან გამომდინარეობს.**

Part of the  
ProCredit Group



პროკრედიტ ბანკი  
ProCredit Bank

Georgia



ბადრიჯილი  
ძლიერ ბანკთან ერთად!



\*22 22



220 22 22



procreditbank.ge



ფოტო: ნოდარ ცხომავაძე

რად მხარდამჭერთა კრიტიკული მასის მობილიზებაც კი უჭირს.

კოალიციის კიდევ ერთი წევრი „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიები“ გახლავთ. გაერთიანება პოლიტიკური ღირებულებების თვალსაზრისით ძალიან ჰგავს რესპუბლიკურ პარტიას. თუმცა „თავისუფალ დემოკრატია“ უპირველესი მახასიათებელი მსუბუქი ფორმის ავტოკრატია და მთელი აქცენტის პოპულარულ ლიდერზე გადატანა გახლავთ. ახალგაზრდა დიპლომატთა მიერ დაარსებულ ლიბერალურ ორგანიზაციაში ყველა და ყველაფერი თავდაცვის მინისტრ ალასანიას ირგვლივ ბრუნავს.

1999 წლიდან, საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე მუდმივი ადგილის მოპოვებას ცდილობს პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. თავდაპირველად, გოგი თოფაძის ჯგუფი შედარებით პროგრესული იდეებით შეეცადა ამომრჩეველთა გულის მოგებას, „მრეწველები“ მსოფლიოს საფინანსო-საბაზრო ძალების ქვეყნის ეკონომიკაში უხეშ ჩარევას ეწინააღმდეგებოდნენ და კერძო ეროვნული წარმოების მხარდამჭერებად გვევლინებოდნენ. დრომ გაერთიანების რეალური მიზე-

ზები ძალიან მალე გამოამჟღავნა. პარტია მისი დამფუძნებლებისათვის პირადი ბიზნესისა და მსხვილი ქონების ხელშეუხებლობის ინდულგენციად, გარანტიად იქცა. თუმცა პრეზიდენტ სააკაშვილის ავტორიტარიზმისას ეს მექანიზმიც წარუმატებელი, გამოუსადეგარი აღმოჩნდა. პოლიტიკური დივიდენდების გარეშე დარჩენილ ჯგუფს მილიარდერმა ექს-პრემიერმა ახალი სიცოცხლე შთაბერა.

ივანიშვილის გუნდის მეხუთე ელემენტს კონსერვატიული პარტია წარმოადგეს. ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე ნაციონალისტებისაგან შემდგარმა ორგანიზაციამ თავისი პირვანდელი სახე მრავალი წლის წინ დაკარგა. ქართული ენის დაცვაზე, რელიგიურ და ეთნიკურ ღირებულებებზე კონცენტრირებულმა ძალამ თითქმის ყველა საარჩევნო ბლოკში უპრეტენზიო მონაწილეობით უკვალოდ გაფანტა უდიდესი პოტენციალი. „კონსერვატორები“ დამოუკიდებელ აქტორად აღარ აღიქმებიან.

„ქართული ოცნების“ მატარებლის ერთ-ერთი ცენტრალური ვაგონი „ეროვნული ფორუმი“ გახლავთ. პარტია ღირსეულ ადგილს დაიკავებდა ნებისმიერი კონსერვატიული ნაციონალიზმის მიმდევარი ძალის გვერდით. აქტიური პოპულისტური რიტორიკით ჯგუფი მიზნად ისახავდა ტრადიციების, ისტორიული მოვლენების საფუძველზე ჩამოყალიბებული სოციალური კავშირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას. გაერთიანების ელექტორატს მორწმუნე მრევლი, შორეული წარსულის ნოსტალგიის მქონე მოქალაქეები წარმოადგენდნენ. საპარლამენტო მუშაობამ „ეროვნული ფორუმი“ ყოველდღიურ რუტინაში ჩაითრია, ჯგუფის ლიდერები აღარ „გვანებივრებენ“ პერმანენტული სატელევიზიო გამოსვლებით. შედეგად, პარტიაც სამთავრობო კოალიციის აბსოლუტურად ჩვეულებრივ, პასიურ წევრად ჩამოყალიბდა.

ასე რომ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულია კონსერვატიული, ლიბერალური და ავტორიტეტზე ორიენტირებული გაერთიანებებისაგან დაკომპლექტებული არაერთგვაროვანი კოალიცია. სამთავრობო გუნდის პოლიტიკური იდეოლოგია ზედმეტად მოქნილი და ბუნდოვანია, რაც ამომრჩეველთა ხმების მაქსიმალიზაციის სურვილიდან გამომდინარეობს.

ძნელია ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გაართმევნ თავს მცირერიცხოვანი, სუსტი და სწრაფი გარდაქმნისა თუ ნებისმიერ რეალობაზე მარტივად მორგების უნარის მქონე პარტიები ნახევრადსაპარლამენტო სისტემაში შესასრულებელ სამუშაოებს.

ვიმედოვნოთ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. **■**

# „ფონდი ნატახტარი“ თანხის შეგროვების მესამე ტალღას იწყებს

პროექტი „იზრუნე მომავალზე“ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე მზრუნველობას აგრძელებს



კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად „ფონდი ნატახტარი“ დააფუძნა. მისი მეშვეობით პროექტი „იზრუნე მომავალზე“ განახორციელა. სამი თვის განმავლობაში „ნატახტარის ლიონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში 1, 3 და 5 თეთრი ირიცხებოდა.

პროექტის მიზანი მოზარდებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემასა და საჭირო სერვისების შეთავაზებას გულისხმობს. სრულწლოვანების ასაკის მიღწევისთანავე მათ შეუწყდებათ სახელმწიფო მზრუნველობა, ამ დროისთვის კი მოზარდებს გარკვეული სამუშაო უნარები უკვე გამოუმავლებული ექნებათ.

მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის თანხის შეგროვების მესამე ტალღა 2013 წლის 25 ნოემბრიდან 2014 წლის 25 თებერვლამდე პერიოდს მოიცავს. თანხა კი ფონდში იმავე პრინციპით გადაირიცხება.

პროექტს ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“ ახორციელებს.

ყოველი ტალღის დასაწყისში, სოციალური სააგენტოს დახმარებით, მცირე საოჯახო სახლში მცხოვრები მოზარდების ბაზა იქმნება. მასში 2013 წლამდე 16, 17 და 18 წლის მოზარდები ხვდებოდნენ. 2013 წლის აპრილში კი ასაკობრივმა ზღვარმა დაიწია. ამჟამად პროექტში 15 წლის მოზარდებიც არიან ჩართულები. პროექტის ფარგლებში ამ ასაკობრივი ჯგუფის 224 მოზარდი გამოიკვეთა. ფონდის თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ ჯგუფზე გადანაწილდა და ფსიქოლოგების დახმარებით

თითოეული მოზარდისთვის მიმართულებები მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით განისაზღვრა. ასეთი მიმართულებებია: სასკოლო საგნებში მოზადება, კოლეჯში ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლა, მართვის მოწმობის გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები, კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და სხვა. ფონდი მოზარდების ტრანსპორტირებასაც აფინანსებს.

ბაზის შექმნის შემდეგ მოზარდებთან გასაუბრებაზე ფსიქოლოგები მიდიან. ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“ დირექტორი ლელა მერაბიშვილი განმარტავს, რომ მოზარდების მხრიდან პროექტში ჩართვის მზაობა დიდია და ისინი მოუთმენლად ელიან 15 წლის შესრულებას.

როგორც კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი განმარტავს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, პროექტში ჩართვის შემდეგ რამდენი წლის გახდება მოზარდი და სად გააგრძელებს ცხოვრებას, ფონდი მასზე მანამდე მზრუნავს, ვიდრე მოზარდი ცხოვრებას დამოუკიდებლად არ შეძლებს.

მოზარდები, რომლებიც მცირე საოჯახო სახლიდან გავიდნენ და შეუწყდათ სახელმწიფო მზრუნველობა, პროექტის ფარგლებში შემდეგ მომსახურებას იღებენ: ბინის ქირას, კვებას, გზის თანხას და ხელობის შესწავლას. ასეთი სულ ექვსი მოზარდია.

მოზარდების რაოდენობასთან ერთად წელს ფსიქოლოგების გუნდის შემადგენლობაც გაფართოვდა. ამჟამად საქართველოს მასშტაბით 224 მოზარდს 10 ფსიქოლოგი ემსახურება.

პროექტის წარმატების თვალსაზრისით წლებგანდელი წლის უკანასკნელი ექვსი თვე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სხვადასხვა სასკოლო საგნებში მოზადება 34 აღსაზრდელმა გაიარა. კოლეჯში პროფესიულ უნარებს კი 52 მოზარდი დაეუფლა. გააქტიურდა სტაჟირების მიმართულება, ექვსმა მოზარდმა იგი დასაქმების პერსპექტივით გაიარა. ხუთ ბავშვს - სპორტულ აქტივობაში ჩართვა, ხოლო რვა მართვის მოწმობის აღება დაუფინანსდა.

2013 წლის საუნივერსიტეტო გამოცდები წარმატებით ჩააბარა სამმა მოზარდმა და ახლა ისინი უკვე სტუდენტები არიან. სწავლის საფასურს მათ სახელმწიფო უფინანსებს, ხოლო თანხის სხვაობის შემთხვევაში ფონდი თანხობრივად ავსებს სახელმწიფოს მიერ დარჩენილ დაფინანსებას. დღეისთვის ასეთი მხოლოდ ერთი შემთხვევაა.

პროექტის ფარგლებში, პროფესიული უნარების გასამტკიცებელი სასწავლო წიგნები და იარაღები 15 მოზარდისთვის შეიძინეს.

პროექტი „იზრუნე მომავალზე“ გარკვეულწილად პრევენციულ ხასიათსაც ატარებს, რადგან საცხოვრებლისა და სახელმწიფოს დახმარების გარეშე დარჩენილმა მოზარდებმა შეძლონ ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავება.





ფოტო: ანდრეა მინოსი

# "აქამდამდე ახალი ყაიღის პოლიტიკური პრაქტიკის იტორია"

ინტერვიუ პუბლიცისტ ზაალ ანდრონიკაშვილთან

პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა დადგა. კოჰაბიტაციის რეჟიმი დასრულებულია. მიმდინარე მოვლენებზე სრულად პასუხისმგებელი კი კოალიცია „ქართული ოცნებაა“. რამ უნდა უზრუნველყოს ამ პასუხისმგებლობების ბოლომდე შესრულება? რითი განსხვავდება ან ჰგავს წინა და მოქმედ ხელისუფალთა მართვის სტილი? რა პოლიტიკურ ძვრებს განაპირობებენ საქართველოში ავტორიტეტები?

როგორია მოსახლეობის პოლიტიკური დაკვეთა და რა ცვლილებებია ამ „დაკვეთაში“? – „ლიბერალი“ პუბლიცისტ ზაალ ანდრონიკაშვილს ესაუბრა.



**პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მოქალაქეებმა საკუთარი პრეზიდენტი მშვიდობიანი არჩევნების გზით შეცვალეს. ამით პოლიტიკური ცხოვრება გადადის იმ ჩვეულებრივ რეჟიმში, რაც დემოკრატიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა, თქვენი აზრით, რა არის ის პოლიტიკური ასპექტები, რაც მაინც განასხვავებს ჩვენს რეალობას განვითარებული დემოკრატიის მქონე ქვეყნებისგან? ვგულისხმობ ამ არჩევნების თანმდევ პოლიტიკურ პროცესებს.**

დემოკრატიული ქვეყნისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ რეჟიმში რომ გადავიდეთ, მყარი, გამძლე დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა გვქონდეს. დემოკრატიული ინსტიტუტების გამძლეობა კი ერთ წელიწადში ვერ გამოჩნდება და, სულ მცირე, ადგილობრივი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კიდე ერთი ციკლი დასჭირდება. დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყიფე არის ის ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც ჩამოყალიბებული დემოკრატიებისაგან განგვასხვავებს.

ნაციონალურ მოძრაობას მონოპოლიზებული ჰქონდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება და „საკონტროლო პაკეტი“ ჰქონდა მედიასა და ბიზნესში. ახალ მთავრობას ეს მონოპოლია არ აქვს. ამ წუთისათვის, უდავოდ გაზრდილია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხარისხი. მედიასაც მთავრობა აღარ ან ვეღარ აკონტროლებს, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავრობასთან დაახლოებული თუ არა, მისთვის მისაღები ადამიანის მიერ მეკობრეული მართვა საქართველოში მედიის დამოუკიდებლობას სერიოზულ დარტყმას აყენებს. საკანონმდებლო ხელისუფლებაც, დღესდღეობით, ორპარტიულია. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ხელისუფლება არ არის მმართველი პარტია. ხელისუფლება არის სამი ხელისუფლების (საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების) ერთობლიობა, ეს კი ხელისუფლებაში ოპოზიციის მონაწილეობასაც გულისხმობს. როდესაც პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ოპოზიციის წევრების შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებს, მას არ ესმის ან არ უნდა გაიგოს ძალიან მარტივი რამ: ის, რომ პარლამენტში ზის ვინმე გოგა ხაჩიძე ან როლანდ ახალაია, ამომრჩევლის

ისეთივე ნებაა, როგორც ის უმრავლესობა პარლამენტში, რომელმაც ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა (იმისდა მიუხედავად, ვინმეს მოსწონს, თუ არ მოსწონს როლანდ ახალაია ან ირაკლი ღარიბაშვილი). პრემიერ-მინისტრი, ისევე როგორც ყველა სხვა, ვალდებულია პატივი სცეს ამომრჩევლის ნებას და ითანამშრომლოს ოპოზიციასთან. ვფიქრობ, რომ ეს არა თუ ჩვენი მოქალაქეების დიდ ნაწილს, არამედ პასუხისმგებელ პოლიტიკოსებსაც ბოლომდე არ შეუგნიათ. ოპოზიციის (პირველ რიგში კი საპარლამენტო ოპოზიციის) არსებობა-არარსებობაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული დემოკრატიული სტრუქტურების არსებობაც და სტაბილურობაც.

კიდევ ერთი უკიდურესად მნიშვნელოვანი დემოკრატიული სისტემის გაძლიერებისათვის არის თვითმმართველობის რეფორმა. ასეთი რეფორმა კოალიცია „ქართული ოცნებას“ დაგეგმილი აქვს. უკვე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები დაგეგმილი რეფორმის მიმართ. სამწუხარო და შემამფოთებელია, რომ ქართული მედია პოლიტიკოსების ცოლებსა და მათ კაბებს მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ამ ძალიან მნიშვნელოვან რეფორმას. თუ თვითმმართველობის რეფორმა სწორად განხორციელდა, ეს იქნება ერთ-ერთი გარანტია იმისა, რომ ერთპარტიულობის რეციდივები აღარ გვექნება და დემოკრატიული მმართველობა მარტო ცენტრალური ხელისუფლების პრივილეგია არ იქნება. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ახლოს ვართ „ჩვეულებრივ“ დემოკრატიასთან იქამდე, ვიდრე თქვითმმართველობები ყველგან არ იქნება არჩევითი და არ ისარგებლებენ საბიუჯეტო თავისუფლებით.

**უკვე ერთი წელია ქვეყანას ახალი პოლიტიკური ძალა მართავს. თქვენი გადმოსახედიდან რა მნიშვნელოვანი განსხვავებები, და აგრეთვე რა მნიშვნელოვანი მსგავსებებია წინა და მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის ქვეყნის მართვის სტილში?**

სანამ დემოკრატიული სტრუქტურების სიმყიფის პრობლემა გვაქვს, მართვის სტილზე საუბარი, შესაძლოა, ფუფუნებაც კი იყოს, თუმცა ორივე პრობლემა ერთმანეთთანაა დაკავშირებული: დემოკრატიული სტრუქტურების არსებობა და მართვის სტილი ურთიერთკავშირშია. მე მგონია,

■ **მგონია, რომ ღარიბაშვილის (და არა ვთქვათ სერგეენკოს) პრემიერ-მინისტრად შერჩევა წინა მთავრობის გარკვეული „სტილისტური“ მემკვიდრეობის ნიშანია. ძალოვან სამინისტროში ნამუშევარი, პოლიტიკურად სრულიად დამოუცდელი მინისტრი, რომელმაც ვერც შსს-ში მუშაობის პერიოდში დაგვამახსოვრა თავი რაიმე დადებითი ცვლილებებით, როგორც ჩანს, ამომრჩეველს სიმტკიცის, სიმკაცრის შთაბეჭდილებას უნდა უქმნიდეს და „ძლიერი ხელის“ ნოსტალგიას აკმაყოფილებდეს.**

**■ ამომრჩეველს აქვს მოთხოვნა ახალი ყაიდის პოლიტიკურ პარტიებზე, რომელიც ამომრჩეველთა ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესთა გამომხატველი იქნება და მხარდამჭერთა სტაბილური ბაზა ეყოლება. “ნაციონალურ მოძრაობას” აქვს შანსი ერთ ასეთ პარტიად გადაიქცეს. კოალიცია „ქართულ ოცნებაში” შემავალ რამდენიმე პარტიას ასევე აქვს ამისი შანსი, მაგრამ, ჩემი აზრით, ახალ, თანამედროვე პარტიაზე ან პარტიებზე მოთხოვნილება არსებობს და ის არ არის უმნიშვნელო.**

რომ ძლიერ სტრუქტურას შეუძლია სტილის შეცვლა, მისივე თავის კალაპოტში მოქცევა, მართვის სტილის ცვლილება კი თავისთავად კარგია, მაგრამ არასაკმარისია სტრუქტურული ცვლილებისათვის.

თუკი მაინც სტილზე გავამახვილებთ ყურადღებას, მგონია, რომ ღარიბაშვილის (და არა, ვთქვათ, სერგეენკოს) პრემიერ-მინისტრად შერჩევა წინა მთავრობის გარკვეული “სტილისტური” მემკვიდრეობის ნიშანია. ძალოვან სამინისტროში ნამუშევარი, პოლიტიკურად სრულიად გამოუცდელი მინისტრი, რომელმაც ვერც შსს-ში მუშაობის პერიოდში დაგვამახსოვრა თავი რაიმე დადებითი ცვლილებებით, როგორც ჩანს, ამომრჩეველს სიმტკიცის, სიმკაცრის შთაბეჭდილებას უნდა უქმნიდეს და „ძლიერი ხელის” ნოსტალგიას აკმაყოფილებდეს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ შეიცვლება მართვის დამკვიდრებული ფორმები: გადანწყვეტილების მიღება მინისტრების ან პრემიერ-მინისტრის დონეზე, აქედან დელეგირების არარსებობა და, შესაბამისად, გადანწყვეტილების მიღების შიში და უუნარობა მართვის საშუალო რგოლში, მართვის აპარატული და არაფორმალური მეთოდები, „უფროსის” შიში (და არა მაგ. პასუხისმგებლობის გრძნობა) როგორც მართვის მექანიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალა. (ამის გამოხატულებაა სუკ-ის მიერ დამკვიდრებული ე.წ. „ოდეერების” – სხვადასხვა უწყებებში ჩანერგილი უშიშროების სამსახურის მოქმედი რეზერვის ოფიცრების – პრაქტიკა, რომელიც წინა მთავრობამ ააღორძინა და როგორც ჩანს, ჯერ არც ეს მთავრობა დამშვიდობებია). უკვე ვხედავთ თუ პირდაპირ ნეპოტიზმის არა, ნათესავებისა და ახლობლების საკუთარ უწყებებში დანიშვნის საეჭვო შემთხვევებს.

უმნიშვნელო არც ის არის, რომ კოალიცია „ქართული ოცნების” მინისტრებმა და მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა თავიდანვე გამოავლინეს ფუფუნებისადმი მიდრეკილება. ისევ ვიგებთ სამინისტროებისათვის ახალი, ძვირი მანქანების, ავეჯის, ტელეფონების ყიდვის შესახებ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩინოვნიკები კი არ მიიჩნევენ თავს ხალხის მიერ დაქირავებულ ჩვეულებრივ მოსამსახურეებად, არამედ ცდილობენ სამსახურის ხარჯზე იქონიონ ფუფუნების საგნები და დაიკმაყოფილონ მატერიალური მოთხოვნილებები.

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ „მართვის სტილი” ჯერ კიდევ დიდწილად საბჭოთა პრაქტიკის გადმონაშთია.

**საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა მონაწილეობა არ მიიღო. მოქალაქეების 47 %-იანი აქტიუობა დაახლოებით 15%-ით უფრო დაბალი მაჩვენებელია წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით. რა იყო მიზეზი? როგორ ფიქრობთ, მოქალაქეებმა ამ არჩევნებს ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭეს თუ სახელისუფლებო კანდიდატის მომხრეები მისი ფავორიტის გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ? თქვენ რას ფიქრობთ?**

ორივე მოსაზრება, შესაძლოა, სწორი იყოს. დავუმატებდი მესამესაც: ამომრჩეველთა პასიურობა საპრეზიდენტო არჩევნებზე შეიძლება არსებული პოლიტიკური მოთამაშეებისადმი მზარდი გულგრილობითაც იყოს გამოწვეული. არც „ნაციონალური მოძრაობა” და არც „ქართული ოცნება” არ შექმნილა ამომრჩევლის ინტერესების გათვალისწინებით. „ნაციონალური მოძრაობა” ტიპური პოსტსაბჭოთა სახელისუფლებო პარტია იყო (ამას კარგად აჩვენებს არჩევნების შემდეგ მისი წევრების კლება), „ქართული ოცნება” კი ჰეტეროგენული კოალიციაა, რომელიც შეიქმნა უფრო „ნაციონალური მოძრაობის” დასამარცხებლად, ვიდრე კონკრეტული მიზნების და ამოცანების გარშემო. რომ ვნახოთ, როგორ შეკონინდა ამ პარტიისა და კოალიციის საარჩევნო სიები, დავინახავთ, რომ ჩვენი პარლამენტი საესვა წევრებით, რომლებსაც კანონშემოქმედება და პოლიტიკა არ აინტერესებთ და არც ესმით. ასეთი ადამიანების პარლამენტში ყოფნით ზიანდება ქვეყნისა და ამომრჩევლის ინტერესი.

ამომრჩეველი ხედავს, რომ ბევრი თემა, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ამ პარტიების (ან კოალიციების) ინტერესთა მიღმა რჩება. ასეთ ამომრჩეველს შეზღუდული ალტერნატივა აქვს: ან წავიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს „უმცირეს ბოროტებას” (რომელიც, ამ პრინციპის აპოლოგეტებს შევასხენებ, სტალინურ ისტორიოგრაფიაში საქართველოს რუსეთთან მიერთების გასამართლებელ საბუთად გამოიყენებოდა), ან არ მივიდეს არჩევნებზე. ვერ ვიტყვი, რომ პასიური ამომრჩევლის, ანუ ამომრ-

ჩვევლთა 50% ასეთია, მაგრამ ამ 50%-ის ერთი ნაწილი მაინც ამ ლოგიკით არ მიდის არჩევნებზე. აქედან გამომდინარეობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ: ამომრჩეველს აქვს მოთხოვნა ახალი ყაიდის პოლიტიკურ პარტიებზე, რომელიც ამომრჩეველთა ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესთა გამომხატველი იქნება და მხარდამჭერთა სტაბილური ბაზა ეყოლება. „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს შანსი ერთ ასეთ პარტიად გადაიქცეს. კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ რამდენიმე პარტიას ასევე აქვს ამისი შანსი, მაგრამ, ჩემი აზრით, ახალ, თანამედროვე პარტიაზე ან პარტიებზე მოთხოვნილება არსებობს და ის არ არის უმნიშვნელო.

**როგორც წესი, ამ ქვეყანაში ავტორიტეტები არაფორმალური ძალაუფლების მითვისებაზე უარს არ ამბობენ. მაგალითად ეკლესიაც გამოდგება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რა პლიუსები ან მინუსები შეიძლება გააჩნდეს „სამოქალაქო სექტორში“ გადასული ბიძინა ივანიშვილის გავლენის ფაქტორს?**

ალბათ ნაიკითხავდით ბიძინა ივანიშვილის ღია წერილს, სადაც ის გვარწმუნებს, რომ არ ეცდება არაფორმალური გავლენის მოპოვებას ხელისუფლებაზე. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ივანიშვილის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. მოგეხსენებათ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ უკიდურესად ჰეტეროგენულია. მისი წევრების სპექტრი ძალიან ფართოა: დეკლარირებულად მემარცხენეებიდან მემარჯვენე-ნაციონალისტებამდე. კოალიციის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მის სტაბილურობაზე. მისი დაშლა ავტომატურად აძლიერებს ნაციონალურ მოძრაობას, რაც კოალიციის შემკვრელი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ კოალიციაში კონფლიქტი წარმოიშვა, ერთადერთი ადამიანი, რომელიც მისი მოგვარებისთვის საკმარისი ავტორიტეტია, ისევე ბიძინა ივანიშვილია, ეს კი მას არბიტრის პოზიციაში აყენებს. მას რომ სულაც არ უნდოდეს ასეთ კონფლიქტში ჩარევა (რომელიც შეიძლება ნებისმიერი რამის, მაგალითად, მინისტრთა კაბინეტში შეუთანხმებლობის გამო წარმოიშვას), მაინც მოუწევს.

ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობა ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში

შემცირდა პოლიტიკული ველის გარეთა გავლენა პოლიტიკურ სივრცეზე, სამაგიეროდ, პოლიტიკურ ველში იყო ფიგურა, რომელთანაც კონკურენცია ძალიან ძნელი იყო. ივანიშვილის პოლიტიკიდან „ნასვლა“ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ველში მართალია „ჭარბი წონის“ პოლიტიკური ფიგურები არ გვყავს, სამაგიეროდ ძალიან ძლიერია გარეშე გავლენა პოლიტიკურ ველზე. ამჟამად საპატრიარქო და ივანიშვილი პოლიტიკაში ფორმალურად ჩართულები არ არიან, მაგრამ პოლიტიკაზე ისეთი გავლენა აქვთ, რომელსაც ძნელია რომელიმე აქტიურმა მოთამაშემ (პარტია იქნება, კოალიცია თუ ცალკეული პოლიტიკოსი) გაუძლოს. ასეთი მდგომარეობა ძალიან ცუდია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისათვის. თუ ივანიშვილი სერიოზულად ფიქრობს პოლიტიკიდან წასვლას, მაშინ მას კოალიცია ქართულ ოცნებასთან ყოველგვარი ფინანსური და პირადი ურთიერთობის შეწყვეტა მოუწევს.

დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა არაფორმალური პოლიტიკური გავლენის ფორმალიზება და მისი პოლიტიკური ბრძოლის „ენაზე გადათარგმნა“.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართლმადიდებლური ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას არასოდეს ერიდებოდა. თუმცა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ბოლო ხანს საქართველოს საპატრიარქო გავლენებისთვის ბრძოლას შესამჩნევად ააქტიურებს? და თუ ასე ფიქრობთ, რას შეიძლება ეს უკავშირდებოდეს?**

უფრო სწორი იქნებოდა, საპატრიარქოზე გველაპარაკა. ეკლესია და საპატრიარქო ერთი და იგივე არ არის. საპატრიარქოს დღეს ეკლესია ისევე ჰყავს ჩანაცვლებული, როგორც რომის სამღვდელოებს ჰქონდა რეფორმაციის დაწყებამდე. სწორედ პატრიარქს და საპატრიარქოს აქვს გარკვეული პოლიტიკური ამბიციები და მიზნები და ბოლო დროს ამ მიზნების განხორციელებას სულ უფრო აგრესიულად ცდილობს. აქამდე პოლიტიკური ნეიტრალურობა საპატრიარქოს წარმატების რეცეპტი იყო, რადგანაც მას მიუკერძოებელი არბიტრის პოზიციაში აყენებდა. საპატრიარქომ თავისი პოლი-

■ **ივანიშვილის პოლიტიკიდან „ნასვლა“ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ველში მართალია „ჭარბი წონის“ პოლიტიკური ფიგურები არ გვყავს, სამაგიეროდ ძალიან ძლიერია გარეშე გავლენა პოლიტიკურ ველზე. ამჟამად საპატრიარქო და ივანიშვილი პოლიტიკაში ფორმალურად ჩართულები არ არიან, მაგრამ პოლიტიკაზე ისეთი გავლენა აქვთ, რომელსაც ძნელია რომელიმე აქტიურმა მოთამაშემ (პარტია იქნება, კოალიცია თუ ცალკეული პოლიტიკოსი) გაუძლოს. ასეთი მდგომარეობა ძალიან ცუდია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისათვის.**

■ **ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობა და, ზოგადად, შეუწყნარებლობა, არის დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საფრთხე. რაც უფრო გაძლიერდება სხვაგვარად მოაზროვნეთა, სხვა აღმსარებლობის ან სხვა ეროვნების ადამიანთა დევნა, მით უფრო გაუჭირდება საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელება, მით უფრო გაუჭირდება ინტეგრაცია დასავლეთთან და, შესაბამისად, მით უფრო დასუსტდება ჩვენი სახელმწიფოებრიობა.**

ტიკური წონის დიდი ნაწილი სწორედ მაშინ მოაგროვა, როდესაც უმნიშვარი და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები პოლიტიკური ქულების დაწერას საპატრიარქოს მხარდაჭერით ან, თუნდაც, მისი კეთილგანწყობით ცდილობდნენ.

არჩევნების შემდეგ მდგომარეობა შეცვალა. საპატრიარქო ახალ მთავრობაში მოკავშირეს თუ არა, სუსტ მონინალმდეგეს ხედავს და უკვე დაუფარავად ცდილობს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გატარებას. საეკლესიო იერარქები (მაგ. პატრიარქის ქორეპისკოპოსი იაკობი) უკიდურესად პოლემიკურ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და მთავრობას ემუქრებიან კიდევ. ეს განცხადებები, ერთი მხრივ, შეიძლება გავიგოთ, როგორც საპატრიარქოს გაზრდილი თავდაჯერებულობა, მეორე მხრივ კი, საპატრიარქოს გავლენის დასასრულის დასაწყისი. რაც უფრო მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი იქნება საპატრიარქოს პოლიტიკური პოზიცია, მით უფრო დაკარგავს ის ყველა ქართველის (ან თუნდაც ყველა მართლმადიდებლის) სახელით ლაპარაკის შესაძლებლობას.

საპატრიარქოს პროგრამა მინიმუმ იყო (და ახლაც არის) ყოფილიყო შეუვალი არბიტრი ნებისმიერ (მისთვის) მნიშვნელოვან საკითხში. აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი კი გახლავთ საპატრიარქოს უპირობო პირველობა სხვა აღმსარებლობებთან შედარებით. საპატრიარქო აღვივებს რელიგიურ კონფლიქტებს და შემდეგ ცდილობს ამ კონფლიქტების მედიატორის როლიც დაიჩემოს. მისი გზავნილი სხვა რელიგიების მიმართ ასეთია: ან დაგვემორჩილეთ, ან არ გაგახარებთ. ივანიშვილის მთავრობის ძალიან დიდი შეცდომა იყო, რომ მან, ფაქტობრივად (თუმცა არა ვერბალურად), საპატრიარქოს ამ მოთხოვნას არ ან ვერ შეენინა აღმდეგა.

პროგრამა მაქსიმუმ უფრო მეტს ისახავს მიზნად: საპატრიარქო ცდილობს თავი წარმოადგინოს ქართველობის ერთადერთ გამომხატველად, ოღონდ ეს ქართველობა მას ესმის არა პოლიტიკურად, როგორც ევროპული, დემოკრატიული, სამოქალაქო ერი-სახელმწიფო, სადაც ყველა მოქალაქე თანასწორია და კანონი – უზენაესი, არამედ როგორც ანტიდასავლური, იზოლაციონისტური,

რუსეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი წარმონაქმნი, ფორმალურად კონსტიტუციური მონარქია და შინაარსით – იეროკრატია (მღვდლების მმართველობა) სადაც ეთნიკური ქართველები და რელიგიურად მართლმადიდებლების საქართველოს სხვა მოქალაქეებზე ფორმალური ან არაფორმალური უპირატესობით წარმოადგენს. დაუშვამტებდი ჩემს აზრს, რომ ისეთი საქართველო, როგორც საპატრიარქოს აქვს წარმოდგენილი, საქართველოს და ქართველობის უმოკლეს დროში სრულ დეგრადაციას გამოიწვევს.


**საქართველოში ულტრანაციონალისტური იდეები უცხო არასდროს ყოფილა, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია ეს უფრო მეტად ვლინდება. ბოლო ხანს კი ასეთი იდეების სადემონსტრაციოდ იმართება საკმაოდ აგრესიული ხასიათის გამოსვლები, იმიგრანტების წინააღმდეგ აქციები შეხლა-შემოხლაშიც გადაზრდილა, თურქულ თუ არაბულ ბარებს რამდენჯერმე შეექმნათ დარბევის საფრთხე, ჩინელ თუ ინდოელ ფერმერებს თავის საკუთრებაში არსებული მიწების დამუშავებაში, რიგ შემთხვევებში, ხელს უშლიან და ა.შ. თქვენი აზრით, ამ ტენდენციის გამწვავება შემთხვევითია, თუ რაიმე კანონზომიერებას, მოვლენათა ლოგიკას ექვემდებარება?**

გაზრდილი ქსენოფობია შემთხვევითი არ არის. ეთნიკური ნაციონალიზმი საქართველოში საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა და ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთის დიდი მეცადინეობით გაძლიერდა, რამაც ძალიან მძიმე და ცუდი როლი შეასრულა აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტებში. სიახლე ის არის, ეთნიკურ სიძულვილს დღეს რელიგიურიც დაემატა, რაც უშუალოდ საპატრიარქოს „დამსახურებაა“. ამის მიზეზი უამრავია: ჩვეულებრივ, დეკლასირებული მასა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის მერე გაჩნდა, მიდრეკილია იმისაკენ, რომ საკუთარი სოციალური პრობლემა უცხოთა გადააბრალოს. უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები და ჩვენს შემთხვევაში სასულიერო პირები ამ არასახარბიელო ტენდენციას აღვივებენ და ცდილობენ წარმოქმნილი ნეგატიური ენერგია საკუთარ ინტერესებში გამოიყენონ. (ეს არის ყველა ქვეყანაში რადიკალი ნაციონალისტების და პოპუ-

ლისტების იოლი წარმატების რეცეპტი. სახელმწიფო ასეთი ტენდენციების მიმართ იმდენადაა გამძლე, რამდენადაც ძლიერია მასში დემოკრატიული ინსტიტუტები). იოლად ეგზალტირებადი ხალხის დიდი რაოდენობა ყოველთვის კარგი ინსტრუმენტია ქვეყნის შიგნიდან (ან გარედან) არეულობის შესაქმნელად.

ჩვენს შემთხვევაში ამ პოტენციალს დღეს იყენებს ყველა, ვისაც არ უნდა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ვისაც არ უნდა საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში და ვისაც აწყობს, რაც შეიძლება ბევრი ქართველი იყოს სოციალურად და ინტელექტუალურად სუსტი და, შესაბამისად, იოლად სამართავი. ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობა და, ზოგადად, შეუწყნარებლობა, არის დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საფრთხე. რაც უფრო გაძლიერდება სხვაგვარად მოაზროვნეთა, სხვა აღმსარებლობის ან სხვა ეროვნების ადამიანთა დევნა, მით უფრო გაუჭირდება საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნების

განხორციელება, მით უფრო გაუჭირდება ინტეგრაცია დასავლეთთან და, შესაბამისად, მით უფრო დასუსტდება ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

ჩვენს საზოგადოებას და სახელმწიფოს დღეს მაქსიმალურად სჭირდება ცენტრალურ პრობლემებზე კონცენტრაცია: დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. რაც უფრო მეტი ყურადღება მიაქვს აბსურდული და არაფრისმომცემი პროექტების (მაგ. კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის) განხილვას, რაც უფრო მეტი ენერჯია მიდის ანბანური ჭეშმარიტების ახსნა-განმარტებაში (მაგ. რომ ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, რომ არ შეიძლება კანონი ერთისთვის კანონობდეს, და მეორისთვის კი იოლი იყოს მისი გათელვა და ა.შ), რაც უფრო მეტად დავინყებთ დამნაშავეს ძებნას იმის გასამართლებლად, რასაც ჩვენ თვითონ ვერ ვაკეთებთ, მით უფრო გაგვიჭირდება თავისუფალი საზოგადოების დაფუძნება და თანამედროვე სახელმწიფოსათვის საფუძვლის ჩაყრა. 

*ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი*

# Radio Commerciant

marketing@commerciant.ge  
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო

[Commerciant.ge](http://Commerciant.ge)

თვალსაზრისი

# აფხაზებისა და ოსებისა - ევროკავშირის ბზით

ბევრი სირთულის მიუხედავად, რასაც ევროკავშირი პოსტსაბჭოთა სივრცეში აწყდება, მისი ამჟამინდელი პოლიტიკა – აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამიმდევრული მიახლოება, აფხაზეთის (და სამხრეთ ოსეთის) „არაღიარება და ჩართულობა“ – უნდა გაგრძელდეს კიდევ უფრო მეტი ენერჯითა და მიზანდასახულობით, რადგან იზრდება პუტინის რუსეთის ამბიციებიცა და ზეწოლაც.

ივლიანე ხაინდრავა

სტატია დაინერაჟირებულია ზოგადი ფონდის სამხრეთ-კავკასიის ბიუროს დაკვეთით, პირველად გამოქვეყნდა ფონდის საიტზე: [www.ge.boell.org](http://www.ge.boell.org), ინგლისურ ენაზე



*Mille viae ducunt hominem per saecula Vilnius!*

2013 წლის სექტემბერში საქართველოში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის მხარდაჭერა ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო პოლიტიკის მიმართ სტაბილურად მაღალია და 81%-ს შეადგენს<sup>2</sup>. სექტემბერშივე, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს მაშინ-

დელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ევროპულ კურსს და ქვეყნის არჩევანს, რომელიც შეუთავსებელია საპირისპირო კურსის მქონე რუსეთთან. დაახლოებით ამავე პერიოდში, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კვლავ დაადასტურა მისი მთავრობის კურსის უცვლელიობა, აღნიშნა რა, რომ „ჩვენ მტკიცედ გვჯერა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და



დემოკრატიული განვითარებისთვის არ არსებობს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზის ალტერნატივა“, და „ჩვენი ხელისუფლება ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა შევინარჩუნოთ ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დადებითი იმპულსი“.<sup>3</sup>

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ პარლამენტის 7 მარტის რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართუ-

ლებების შესახებ, რომელსაც ერთხმად დაუჭირა მხარი როგორც უმრავლესობამ (ივანიშვილის კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“), ასევე უმცირესობამ (სააკაშვილის „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“) და რომლის პრიორიტეტადაც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა მიჩნეული. ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის უკანასკნელი

ვერსიაც (დეკემბერი, 2011) პრიორიტეტად ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციას ადგენს, ასევე ისიც, რომ 2013 წლის არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატებს ევროპული ინტეგრაციის საკითხში ეჭვი არ შეუტანიათ, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ევროატლანტიკური კურსი უპრეცედენტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონსენსუსს ეფუძნება საქართველოში.

ივლისში საქართველომ მოლაპარაკებები დაასრულა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ტექსტზე და მისი პარაფირება სავარაუდოდ 28-29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე მოხდება. რაც შეეხება იმას, თუ რა დრო შეიძლება დასჭირდეს ხელშეკრულების ხელმოწერას, ოპტიმისტური შეფასებით ამას 2014 წლის გაზაფხულზე უნდა ველოდოთ, უფრო პრაგმატული ვარაუდით კი – მომავალი წლის შემოდგომაზე; ხელმოწერა უნდა დაგვირგვინდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ამოქმედებით.

ვილნიუსის სამიტამდე, ოფიციალურმა მოსკოვმა აშკარა და მზარდი ზენოლის კამპანია წამოიწყო სომხეთის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის წინააღმდეგ, რათა ეიძულებინა ისინი გადაეხვიათ ევროპული კურსისგან საბაჟო კავშირისა და ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანებისკენ (ЕвразЭС). ამ ზენოლამ ხელი ააღებინა სომხეთს თავდაპირველ განზრახვაზე, საქართველოსა და მოლდოვასთან ერთად მოეხდინა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება. უკრაინაზე ზენოლით რუსეთმა იმასაც მიაღწია, რომ შეაჩერა ამ ქვეყნის მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა. მართალია, ევროკავშირმა დაგმო კრემლის ქმედებები ევროპარლამენტის რეზოლუციით<sup>4</sup>, რასაც მოჰყვა გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის უჩვეულოდ მკაცრი განცხადება<sup>5</sup>, მაგრამ ამან ვითარება ვეღარ შეცვალა.

საკუთრივ ევროკავშირის პრესტიჟი საფრთხის ქვეშ დადგა: აღმოსავლეთ პარტნიორობის ორი ქვეყანა – ბელარუსი და აზერბაიჯანი – ასოცირების ხელშეკრულების კანდიდატებად არ მოიაზრებოდნენ, ახლა კი მათ რიცხვს სომხეთიც შეემატა

(თუმცა, მოსალოდნელია, რომ ამ ქვეყანასთან მიმართებაში იმგვარი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომელიც არ გადაუნურავს მას ევროპასთან დაახლოების პერსპექტივას). როგორც ჩანს, უკრაინამაც გაურკვეველი ვადით დაკარგა იმპულსი და თუკი საქართველოსა და მოლდოვის ევროპული მისწრაფებები ფორმალურად და პრაქტიკულად არ იქნა განმტკიცებული ვილნიუსის სამიტზე და მის შემდგომ, ეს ვლადიმერ პუტინის ანტიდასავლური პოლიტიკის სრული ტრიუმფი გახდება.<sup>6</sup>

რუსეთის ამჟამინდელი პოლიტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროპული ღირებულებების აღმოსავლეთში გავრცელების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი – კრემლი ძალისხმევას არ იშურებს, რათა ამ პროცესს ძირი გამოუთხაროს. რუსეთის დემაში დებატების დროს, როცა ევროპარლამენტის ზემოხსენებული რეზოლუციის საპასუხო განცხადების ტექსტზე მსჯელობდნენ, დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ალექსეი პუშკოვმა, განაცხადა: „ეს გეოპოლიტიკური ჭიდილია და ამ საკითხზე ჩვენსა და ევროპას შორის საერთო ენა ვერ მოიძებნება“<sup>7</sup>.

## რეალიზმი და ილუზიები

თუმცა, საქართველო (მოლდოვის მსგავსად) სხვა გამონვევის წინაშეც დგას, რაც მოსკოვის ობსტრუქციონისტულ პოზიციასთან კავშირშია; საუბარია მოუგვარებელ კონფლიქტებზე. იმთავითვე ვიტყვი – არასდროს გამიზიარებია ყოფილი ხელისუფლების (სააკაშვილის მეთაურობით) პოზიცია, თითქოს საქართველოს მხოლოდ ერთი ტოტალური კონფლიქტი აქვს რუსეთთან, ხოლო კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ამ დიდი კონფლიქტის შემადგენელი ნაწილებია მხოლოდ. არამც და არამც: ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს თავ-თავიანთი ისტორია, ფესვები და გენეზისი აქვთ და თუკი ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის ფაქტორი სასწაულებრივად გაქრება, ეს კონფლიქტები დაუყოვნებლივ და ავტომატურ რეჟიმში როდი მოგვარდება. თუმცა, ისიც ნათელია, რომ სწორედ რუსეთის ფაქტორმა აიყვანა ისინი დღევანდელ მდგომარეობამდე – მოუგვარებელ პრობლემამდე, რაც დასავლეთსაც მრავალ პრობლემას უქმნის.

იმავდროულად არ ვიზიარებ იმ ადა-



მიანების ზედაპირულ მიდგომასაც, ვინც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს სიმეტრიულად, ერთ სიბრტყეში მყოფ პრობლემებად წარმოაჩენს, უგულებელყოფს რა მრავალ განმასხვავებელ ფუნდამენტურ საკითხს. ამ თვალსაზრისით საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ სამხრეთ ოსური ნაციონალური პროექტი თავისი არსით ირედენტისტულია და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ არ აღიქმება სერიოზულად არა თუ მოსკოვში, არამედ თვით ცხინვალშიც კი.<sup>8</sup>

აფხაზური ნაციონალური პროექტი კი (ეთნიკური აფხაზების ნაციონალური პროექტი – ამ გარემოებას აღნიშნულ კონტექსტში კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება) მიზნად ისახავს აფხაზეთის დამოუკიდებლობას – იმდენად სრულფასოვანს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ათწლეულების მანძილზე (საბჭოთა დროშიც კი, როდესაც აფხაზები საბჭოთა ლიდერებს პერიოდულად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკიდან აფხაზეთის გამოყოფასა და რუსეთის ფედერაციაში შეყვანას სთხოვდნენ) აფხაზთა ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსეთის დახმარებით თავი დაეღწიათ ქართველებისთვის, ხოლო შემდეგ, რამენაირად, რუსებსაც დასხლტომოდნენ.

მოცემული დროისათვის, ამ პროგრამის პირველი ნაწილი მეტ-ნაკლებად რეალიზებულია – აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა სამი მეოთხედი გაქვებულია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა (მოგვიანებით, რუსეთს ნიკარაგუა, ვენესუელა, ტუვალუ და ნაურუც შეუერთდა), რაც საქართველოსგან აფხაზეთის (და სამხრეთ ოსეთის) სეცესიის საკმარის გარანტიად აღიქმება.

თუმცა აფხაზური პროექტის სრული რეალიზაციის გზაზე, სულ მცირე, ორი გადაულახავი დაბრკოლებაა აღმართული. პირველი და მთავარი ისაა, რომ რუსეთმა აფხაზეთი მისი რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად როდი წაართვა საქართველოს სამხედრო გზით. რუსეთი აფხაზეთზე სოლიდურ სახსრებს ხარჯავს – წლიდან წლამდე რუსული ფული აფხაზეთის ბიუჯეტის საშუალოდ 70%-ს შეადგენს<sup>9</sup> (სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 90%-ია<sup>10</sup>), თუმცა, ბუნებრივია, ეს დანახარჯები ქველმოქმედების

სფეროს არ განეკუთვნება. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოში რუსეთის სამხედრო პლაცდარმებია (უფრო ფართოდ – სამხრეთ კავკასიასა და „ახლო საზღვარგარეთში“); გარდა ამისა, აფხაზეთი – შავი ზღვის საკმაოდ მიმზიდველი სანაპირო ზოლია, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილს, ხოლო ოჩამჩირის პორტი რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ბაზად გამოიყენება.

რუსეთმა აფხაზეთში სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო თუ სხვა სახის მონოპოლია დაამყარა. ამგვარ ვითარებაში გაუგებარია, თუ როგორ აპირებს აფხაზი ელიტა დაუსხლტეს რუსულ „ჩახუტებას“. აფხაზთა უახლოესი ნათესავების – შაფსუგებისა და უბიხების, სოჭის გარშემო ტერიტორიაზე რომ სახლობდნენ და მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ განადგურდნენ ან გაქვებულ იქნენ, გადარჩენილებმა კი მოგვიანებით ასიმილაცია განიცადეს – არცთუ შორეული ისტორია ნათელი დასტურია იმ რისკებისა ეროვნული თვითმყოფადობისთვის, რაც აფხაზეთის რუსეთის სივრცეში მოქცევას მოაქვს.

არც იმის დაშვება იქნებოდა მართებული, თითქოს აფხაზთა ნაციონალური პროექტი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მიერაა გათავისებული. დღეისათვის, აფხაზეთის მოსახლეობა (იგი 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტამდელის ნახევარზე ნაკლებია) სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფისგან – აფხაზების, ქართველებისა და სომხებისგან შედგება; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეთნიკურად რუსი შემადგენელი თანდათან წამოწევა მათ რიცხოვნობად. მოსახლეობის ამ ძირითადი ჯგუფების სივრცითი და პოლიტიკური ორიენტაცია სხვადასხვაა: აფხაზთა უდიდეს უმრავლესობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრეს მიზნად დამოუკიდებლობის მიღწევა დაუსახავს; აფხაზეთში დარჩენილი ქართველები საკუთარ მომავალს, ბუნებრივია, საქართველოსთან ერთიან სივრცეში მოიაზრებენ, ხოლო რუსები – ასევე სავსებით ბუნებრივად – რუსეთის სივრცეში.

აფხაზეთის სომხური თემის პოზიცია ნაკლებად მკაფიოა; დღემდე ისინი ახერხებდნენ აფხაზთა ნაციონალური პროექტის ერთგულების პარალელურად, რუსეთის

■ **საკუთრივ ევროკავშირის პრესტიჟი საფრთხის ქვეშ დადგა: აღმოსავლეთ პარტნიორობის ორი ქვეყანა – ბელარუსი და აზერბაიჯანი – ასოციაციის ხელშეკრულების კანდიდატებად არ მოიაზრებოდნენ, ახლაკი მათ რიცხვს სომხეთიც შეემატა (თუმცა, მოსალოდნელია, რომ ამ ქვეყანასთან მართებაში იმგვარი გადანყვეტილება იქნება მიღებული, რომელიც არ გადაუნურავს მას ევროპასთან დაახლოების პერსპექტივას). როგორც ჩანს, უკრაინამაც გაურკვეველი ვადით დაკარგა იმპულსი და თუკი საქართველოსა და მოლდოვის ევროპული მისწრაფებები ფორმალურად და პრაქტიკულად არ იქნა განმტკიცებული ვილნიუსის სამიტზე და მის შემდგომ, ეს ვლადიმერ პუტინის ანტიდასავლური პოლიტიკის სრული ტრიუმფი გახდება.**

■ საბოლოო ვაგამში აფხაზეთის უფრო სჭირდება ევროპა, ვიდრე ევროპას აფხაზეთი. აფხაზეთის სწრაფვა დასავლეთის ქვეყნებში თავისუფალი შესვლის მოპოვებისკენ დაუძლეველ წინააღმდეგობაშია „ბერლინის კედლის“ აღმართვასა და დანარჩენი საქართველოსგან თვითიზოლაციასთან. ნათელი უნდა იყოს, რომ როცა ევროკავშირი „ჩართულობის“ პოლიტიკას „არალიარების“ პრინციპზე აყალიბებს, ეს მარტივ გათვლას ვეუძნება – საქართველოს ნდობის დაკარგვის ფასად აფხაზეთის „ჩართულობას“ ვერ გარისკავენ, რადგან ასეთ შემთხვევაში დანაკარგი მონაპოვარზე მეტი აღმოჩნდება.

სივრცეზე შეუზღუდავი წვდომის მისწრაფების შენარჩუნებას. თუმცა სომხეთი ევროკავშირთან დაახლოების საქართველოს გზას რომ გაჰყოლოდა, ეს გავლენას მოახდენდა აფხაზეთის სომხური დიასპორის ინტერესებზეც. ასეა თუ ისე, აფხაზეთში ეთნოკრატიული მმართველობის შენარჩუნება (ასე, აფხაზეთის კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტად მხოლოდ ეთნიკური აფხაზი შეიძლება აირჩეს<sup>11</sup>) თემთაშორის დაძაბულობას მხოლოდ გაამძაფრებს. მეორე მხრივ, ეთნოკრატიაზე უარის თქმა (თუმცა აფხაზებს არაფერი ეტყობათ საამისო მზაობისა) ასევე გამოუთხრის ძირს აფხაზურ ნაციონალურ პროექტს.<sup>12</sup>

კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია მოსკოვსა და სოხუმს შორის ურთიერთობაში მზარდი ორმხრივი გაღიზიანება, რაც ადვილად ამოიკითხება პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების გამონათქვამებში. აფხაზებს აშფოთებთ ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ, ოფიციალურ სოხუმს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა კიდევ უფრო შეეზღუდა, ხოლო საერთაშორისო დონეზე რუსეთი იმაზე უფრო ნაკლებად „ანგება“ სხვების მიერ აფხაზეთის აღიარებას, ვიდრე ამას აფხაზები იმედოვნებდნენ. მეორე მხრივ კი რუსეთი, რომელიც საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის ერთადერთ გარანტს წარმოადგენს და, პრაქტიკულად, საკუთარი სახსრებით ინახავს მას, უკმაყოფილოა სოხუმის მცდელობით, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები.

ცხადია, ნაადრევი იქნება იმის თქმა, თითქოს მოსკოვის უკონკურენტო დომინირებით შენუხებული სოხუმი მზადაა განიხილოს საქართველო შესაძლო ალტერნატივად. ოცი წლის მანძილზე სოხუმის კურსი თბილისისგან დისტანცირებაში, რუსეთის ხელით აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფ ხაზზე „ბერლინის კედლის“ აგებაში, საქართველოში არსებულ დადებით ტენდენციებზე თვალის დახუჭვასა, „სამაგიეროდ“ მის შესახებ ნებისმიერი ნეგატიური ინფორმაციის შეგროვება-დამახსოვრებაში მდგომარეობდა. მიუხედავად ამისა, ორმხრივი უნდობლობა ერთმანეთის რეალური განზრახვების მიმართ მოსკოვსა და სოხუმში სულ უფრო

მზრადია, რაც გარე აქტორებს უხსნის ასპარეზს აფხაზეთში. არსებულ ვითარებაში კი ამგვარი აქტორები შეიძლება ევროკავშირი და თურქეთი იყვნენ.

## ევროკავშირი: ჩართულობა ჩართულობის გზით

თურქული პოტენციალი და გეგმები აფხაზეთში (და სხვაგან) ცალკე განხილვის თემაა. რაც შეეხება ევროკავშირის პოლიტიკას აფხაზეთის (და სამხრეთ ოსეთის) მიმართ, იგი გამოსატულია ფორმულით „არალიარება და ჩართულობა“ და ეს ფორმულა სავსებით მართებულია. „არალიარების“ ნაწილი არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეხება, არამედ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ნამოქმედარსაც. ასე, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიშში („ტალიავინის კომისია“) აღნიშნულია, რომ არათუ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს არ აქვთ საქართველოსგან გამოყოფის უფლება, არამედ მესამე ქვეყნის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება.<sup>13</sup> ამდენად, ევროკავშირის წევრი ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან აფხაზეთის (ან/და სამხრეთ ოსეთის) შესაძლო აღიარების საკითხის წამოჭრაც კი ერთგვარი ინდულგენცია იქნებოდა რუსეთისთვის, გაამართლებდა რა ამ უკანასკნელის უკანონო ქმედებებს და საერთაშორისო ასპარეზზე ძალმომრეობის ახალ აქტებს გაუხსნიდა გზას.

„ჩართულობის“ ნაწილი ასე ერთმნიშვნელოვანი როდია. სააკაშვილის მთავრობისგან განსხვავებით, ახალი ხელისუფლება არ იზიარებს „მხოლოდ საქართველოს გავლით“ ჩართულობის მიდგომას და რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა აფხაზეთის დეიზოლაციისთვის. თუმცა მოსკოვის გეგმებში არ შედის აფხაზეთის ლიაობის უზრუნველყოფა დანარჩენი მსოფლიოსთვის, ყველაზე ნაკლებად კი – დასავლეთისთვის. შესაბამისად, ევროკავშირის ნებისმიერი მცდელობა გააქტიურდეს აფხაზეთის მიმართულებით, უამრავ, ძირითადად ხელოვნურად აღმართულ დაბრკოლებას აწყდება. მეტიც, აფხაზეთის ხელისუფლების პოზიცია, რომელიც თავისი არსით ასე შეიძლება გამოიხატოს „მანამდე, ვიდრე შენ

(ევროკავშირი) უარს მეუბნები აღიარებაზე, მე შენთან საქმეს არ დავიჭერ“, ნებისმიერი თვალსაზრისით ზედმეტად ამბიციურად გამოიყურება. საბოლოო ჯამში აფხაზეთს უფრო სჭირდება ევროპა, ვიდრე ევროპას აფხაზეთი. აფხაზეთის სწრაფვა დასავლეთის ქვეყნებში თავისუფალი შესვლის მოპოვებისკენ დაუძლეველ წინააღმდეგობაშია „ბერლინის კედლის“ აღმართვასა და დანარჩენი საქართველოსგან თვითიზოლაციასთან. ნათელი უნდა იყოს, რომ როცა ევროკავშირი „ჩართულობის“ პოლიტიკას „არაღიარების“ პრინციპზე აყალიბებს, ეს მარტივ გათვლას ეფუძნება – საქართველოს ნდობის დაკარგვის ფასად აფხაზეთის „ჩართულობას“ ვერ გარისკავენ, რადგან ასეთ შემთხვევაში დანაკარგი მონაპოვარზე მეტი აღმოჩნდება.

ამავდროულად, ყველაფერი ქართულის (თუნდაც ერთმნიშვნელოვნად დადებითის) მიმართ აფხაზური ელიტის მძაფრი ეჭვების გათვალისწინებით, დასავლური სტრატეგიის მიზანი კონფლიქტის ტრანსფორმაციის გზით აფხაზეთისა და ქართველების შერიგება და არსებული ორმხრივი უნდობლობის საერთო ინტერესებისა და საჭიროებების აღიარებითა და პატივისცემით ჩანაცვლება უნდა იყოს. ამით სოხუმს თბილისთან დიალოგისა და თანამშრომლობისკენ უნდა უბიძგონ. შესაბამისად, დე-იზოლაცია და ჩართულობა შემხვედრი ნაბიჯებისა და პირობების დაცვის პრინციპების ნიადაგზე უნდა განვითარდეს. მაგალითად, კონფლიქტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ორასი ათასზე მეტი და აფხაზეთის (ასევე სამხრეთ ოსეთის) ტერიტორიაზე მცხოვრები

ეთნიკური ქართველის პრობლემების მიჩქმალვა ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება. ევროპული „რბილი ძალის“ პოლიტიკა მოთმინებასა და დახვეწილობას მოითხოვს, მაგრამ უფრო მარტივი გამოსავალი არ ჩანს.<sup>14</sup>

### პერსპექტივები და დასკვნები

მიუხედავად ამ (და მრავალი სხვა) სირთულეებისა, რასაც ევროკავშირი პოსტსაბჭოთა სივრცეში აწყდება, მისი ამჟამინდელი პოლიტიკა – აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამიმდევრული მიახლოება, აფხაზეთის (და სამხრეთ ოსეთის) „არაღიარება და ჩართულობა“ – უნდა გაგრძელდეს კიდევ უფრო მეტი ენერჯითა და მიზანდასახულობით, რადგან იზრდება პუტინის რუსეთის ამბიციებიცა და ზენოლაც.

ევროპული რბილი ძალა – მაგრამ ძალა და არა უძლეულება – ეს არის იმ საზოგადოებების მთავარი იმედი, რომლებიც დემოკრატიულ, პარტნიორობაზე ორიენტირებულ ევროპასა და ავტორიტარულ, საკუთარი „ჰემონიის უფლებას“ ჩაბლაუჭებულ რუსეთს შორის არიან მომწყვედეულები. ევროპული საქართველო იქნება ქვეყანა, რომელთანაც აფხაზეთი და ოსები შეძლებენ საერთო ენის გამოწახვას, რადგან სწორედ ევროპაში შემუშავდა და განხორციელდა მცირე ერებისა და უმცირესობების დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტები. აფხაზეთის (და სამხრეთელი ოსების) თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მათი თვითმმართველობის გონივრული ფორმების უზრუნველყოფის ევროპული გარანტიებიც ბევრად უფრო მყარი იქნება, ვიდრე რუსული. ■

1 ყველა გზა ვილნიუსში მიდის (ლათ.)

2 SurveycarriedoutbyNationalDemocraticInstitute (NDI): <http://www.ndi.org/node/20641>

3 <http://pirweli.com.ge/?menuid=8&id=43159>

4 DeepandComprehensiveFreeTradeAgreement

5 <http://www.dw.de/opinion-merkel-takes-a-stand-against-putin/a-17241371>

6 About this policy, see, for instance: ЛилияШевцова«ВалдайскаядоктринаПутина», 23.09.2013, <http://www.ej.ru/?a=note&id=13316>

7 <http://www.rosbalt.ru/main/2013/09/20/1178201.html>

8 For more information, see IvlianHaindrava “TwoOssetiasintheContextofRussian-GeorgianRelations”; inthecollectionRussiaandGeorgia: SearchingtheWayout, GeorgianFoundationofStrategicStudies, 2011

9 [http://gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA\\_AND\\_GEORGIA\\_SEARCHING\\_THE\\_WAY\\_OUT\\_English\\_Publication.pdf](http://gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_English_Publication.pdf)[10] <http://grani.ru/Politics/World/Europe/Georgia/m.212474.html>

10 <http://izvestia.ru/news/549114>

11 <http://apsnypress.info/constitution>

12 See: С.Маркедонов «Параллельно противоположные проекты»<http://www.ekhovkaza.ru/content/article/25122058.html>September 30, 2013.

13 [http://www.ceiig.ch/pdf/IFFMCG\\_Volume\\_I.pdf](http://www.ceiig.ch/pdf/IFFMCG_Volume_I.pdf) vol.1, p.17

14 See, forinstance: “THE DE-ISOLATION OF ABKHAZIA”; InternationalAlert, 2011, <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/1107Abkhazia.pdf>

თვალსაზრისი

# ჩინური და სამხრეთკორეული: სახელმწიფოს უფლებების აღდგენის პოლიტიკა

ათასობით ადამიანი საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას საკუთრების უფლებების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებს. საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია „ქართული ოცნებამ“ პირობა დადო, რომ დარღვეულ ქონებრივ უფლებებს აღადგენდა. ამის მიუხედავად, მოქმედი საკანონმდებლო რეჟიმი არ იძლევა ქონების დაბრუნების (რესტიტუციის) საკითხებზე წამოჭრილი დავების გადაწყვეტის იოლ სამართლებრივ შესაძლებლობას. წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები რესტიტუციული პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებას არ იძლევა. შედეგად, წართმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა, რომელთაც პროკურატურა იძიებს, გაყინულია.

ირაკლი სოკოლოვსკი, ევა ანდერსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის (Amcham) კომერციული და საგადასახადო სამართლის კომიტეტი.

ერთი მხრივ, ქონებრივი მოთხოვნების მყისიერი დაკმაყოფილება ეროვნულ ბიუჯეტს ცუდ შედეგებს მოუტანს, ვინაიდან საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნების ღირებულება ძალიან მაღალია; მეორე მხრივ, საკითხის იგნორირება პოლიტიკურ პრობლემებს აჩენს და აკნინებს ნდობას კანონის უზენაესობის მიმართ.

ამ თემაზე საჯარო დისკუსიის გაღვივების მიზნით, ამერიკის სავაჭრო პალატის (Amcham) კომერციული და საგადასახადო სამართლის პროექტი აფასებს იმ გზას, რომლის გავლაც მოუწევს დაზარალებულს ქონების დაბრუნების მიზნით და აანალიზებს იმ გამომწვევებს, რომელთა წინაშეც ხელისუფლება დგას.

კოალიცია ქართული ოცნების 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებიდან სამი თვის განმავლობაში საქართველოს პროკურატურაში 20 000 საჩივარი შევიდა, მათ შორის 9350 მოთხოვნა სხვადასხვა სახის ქონების დაბრუნების მოთხოვნით, რომლის ჩამორთმევა, დაზარალებულთა მტკიცებით, 2004-2012 წლის პერიოდში მოხდა.

ამ საქმეების უმეტესობა ქონების იძულებით ჩამორთმევას და სახელმწიფოს სასარგებლოდ მის

უსასყიდლოდ დათმობას ეხება. ყველაზე ხშირად, საკუთრების უფლებების დარღვევა უკავშირდება ქონების გადაცემას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, რომლის პირობებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ, როგორც წესი, პროკურატურა კარნახობდა. როგორც ჩანს, საკუთრების ჩამორთმევის მიზნებისათვის იძულების სხვა ფორმებიც გამოიყენებოდა.

შელახული საკუთრების უფლებების აღდგენას, არსებული სამართლებრივი რეჟიმის პირობებში, ორ ძირითადი სირთულე ახლავს. უპირველესად, საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაყენება, როგორც წესი, ხანდაზმულობის ან შეცილების ვადებს ექვემდებარება, რომელიც უკვე გასული ან ამონურულია. შესაბამისად, ამ რესტიტუციის შესაძლებლობა შეზღუდულია.

მაგალითად, თუ მომჩივანი ითხოვს ქონების დაბრუნებას, რომლის ჩამორთმევა იძულებით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა, მას შეუძლია ამტკიცოს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან არ გამოხატავდა გარიგების დადების დროს მომჩივანის რეალურ

სახელშეკრულებო ნებას. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადაო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული შეცდომების ვადა ზღუდავს რესტიტუციის უფლების მქონე პირების სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

სამართლებრივ წინააღმდეგობას ქმნის ისიც, რომ ქონების დაბრუნება, რაც შემთხვევაში, უკვე ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ დროს, როცა დაზარალებული ამტკიცებს, რომ საკუთრების ჩამორთმევა დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის განაჩენის საფუძველზე განხორციელდა. სამართლის ზოგადი პრინციპი - *res judicata*, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში უშვებს. კერძოდ, სასამართლო ვერდიქტის გადასინჯვის საფუძველი ახლად აღმოჩენილი გარემოებებია. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს შესაბამის მტკიცებულებას, რაც, უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს ან რთულად მოსაპოვებელია.

ამგვარი სირთულეების გათვალისწინებით, მომჩივანთა ნაწილი ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების გამოიყენებს ცდილობს. არსებული საკანონმდებლო პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ოთხი ასეთი საშუალების იდენტიფიცირება.

რესტიტუციის საჩივრების უმეტესობა საქართველოს პროკურატურაში მიმართულია იმ იმედით, რომ პროკურატურა გამოიძიებს და წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას განაჩენის გადასინჯვისა და *res judicata* წესის დასაძლევად. თუმცა, შესაძლო რესტიტუციის უფლება, ამ შემთხვევაში, გულისხმობს და სავარაუდოდ მოიცავს ხანგრძლივ, ძვირ სამართლებრივ პროცესს და რამდენიმე სასამართლოს ინსტანციის გავლას.

მეორე სამართლებრივი საშუალება, რომელიც იძულებით დადებული გარიგებების შემთხვევაში არსებითია, შეცდომების ვადის გახანგრძლივებას უკავშირდება. მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) იცავს სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ ყოფილ პარტნიორებს, რომელთა მტკიცებით, 2010 წლის ივნისში, ისინი აიძულეს, წილები სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეთმოთ. შეცდომების ვადის დამკვიდრებული ინტერპრეტაციის მიხედვით, მათი მოთხოვნა, სავარაუდოდ, ვერ იქნება წარმატებული, რადგან შეცდომების ვადა (ერთი წელი) უკვე გასულია. თუმცა საია შეეცდება დაამტკიცოს, რომ „თბილავიამშენის“ ყოფილი პარტნიორების მიმართ განხორციელებული იძულება 2012 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო და სამთავრობო ცვლილებების ფონზე ბუნებრივად შეწყდა. აღნიშნული სასამართლო საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საიას გამარჯვება შექმნიდა მნიშვნელოვან პრეცედენტს შეცდომების ვადის განმარტების გადახედვის თვალსაზრისით, რომელიც შესაძლებელია გამოიყენონ სხვა მომჩივანებმაც.

**■ ამ საქმეების უმეტესობა ქონების იძულებით ჩამორთმევას და სახელმწიფოს სასარგებლოდ მის უსასყიდლოდ დათმობას ეხება. ყველაზე ხშირად, საკუთრების უფლებების დარღვევა უკავშირდებოდა ქონების გადაცემას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, რომლის პირობებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ, როგორც წესი, პროკურატურა კარნახობდა. როგორც ჩანს, საკუთრების ჩამორთმევის მიზნებისათვის იძულების სხვა ფორმებიც გამოიყენებოდა.**

მესამე, დაზარალებულთა უმეტესობა იმედით ელის საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც რესტიტუციის ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებს გაითვალისწინებს. ორ კანონპროექტზე გვიანდა ყურადღების გამახვილება. პირველი საკანონმდებლო შეთავაზება შემუშავებულია პარლამენტის წევრის, პაატა კიკნაველიძის მიერ და შესაძლოა პარლამენტის დღის წესრიგში ამ შემოდგომაზე მოხდეს. კანონპროექტის მიხედვით, ნებისმიერ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან ქონების დაბრუნება, თუ მან 2004-2012 წლების პერიოდში უფასოდ და საზღაურის გარეშე გადასცა ქონება სახელმწიფოს.

მესამე, დაზარალებულთა უმეტესობა იმედით ელის საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც რესტიტუციის ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებს გაითვალისწინებს. ორ კანონპროექტზე გვიანდა ყურადღების გამახვილება. პირველი საკანონმდებლო შეთავაზება შემუშავებულია პარლამენტის წევრის, პაატა კიკნაველიძის მიერ და შესაძლოა პარლამენტის დღის წესრიგში ამ შემოდგომაზე მოხდეს. კანონპროექტის მიხედვით, ნებისმიერ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან ქონების დაბრუნება, თუ მან 2004-2012 წლების პერიოდში უფასოდ და საზღაურის გარეშე გადასცა ქონება სახელმწიფოს.

თუმცა, ამ კანონპროექტის მიღების საკმაოდ მცირე შანსი არსებობს. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების, მათ შორის იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ბარამიძისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის, დიმიტრი ქუმსიაშვილის აზრით, კანონპროექტი ძალიან ფართოა და მისი პრაქტიკაში გამოყენება პრობლემატური იქნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტები, ეკა ბოკუჩავა და გია გვილიაც თვლიან, რომ დოკუმენტი მხედველობაში არ იღებს არსებული რესტიტუციის პროცესის ყველა სირთულეს და მისი იმპლემენტაცია უფრო მეტ პრობლემას შექმნის.

სამართლიანობის აღდგენის განსხვავებულ მექანიზმს ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე<sup>1</sup>. ამ კანონპროექტმა მმართველი კოალიციის მხარდაჭერა უკვე მიიღო. ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების აზრით, დოკუმენტი არსებით როლს შეასრულებს კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენაში ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად იქნა მსჯავრდებული. მათივე მტკიცებით, კანონპროექტს ასევე გააჩნია სამართლებრივი საშუალებები იმათთვისაც, ვინც ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ცდილობს. მაგრამ, არსებული ფორმით, დოკუმენტი ვრცელდება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე და არ ითვალისწინებს პირდაპირ რესტიტუციულ სამართლებრივ საშუალებებს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეებზე, რაც მის შესაძლო რესტიტუციულ ეფექტს არსებითად ზღუდავს.

მეოთხე, ეფექტური სამართლებრივი ან საკანონმდებლო საშუალების არარსებობის პირობებში მომჩივანთა ნაწილმა შეიძლება ქონების დაბრუნება ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მეშვეობით სცადოს. ამან კი შესაძლოა ქვეყნის რეპუტაციას ჩრდილი მიაყენოს მაშინ, როდესაც საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სასამართლო სისტემის რეფორმირების მიმართ.

აღნიშნული საკითხების ერთობლიობა ხელისუფლებისათვის პრობლემების მთელ ერთობლიობას ქმნის. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარჩვენოდ პირობა დადო, რომ უზრუნველყოფდა ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, თუმცა, ამ საკითხის მოგვარებას რიგი პრაქტიკული წინააღმდეგობები უდგას წინ.

საკუთრების უფლებების დარღვევის შემთხვევების გამოძიება მძიმე ტვირთია საქართველოს პროკურატურისათვის, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფა ყველა საქმის სათანადო გამოძიება. აღნიშნული მისიის შესრულებას სხვა გარემოებაც აბრკოლებს. ყოფილი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი აღიარებს, რომ მოქმედი პროკურორების ნაწილი, გარკვეულწილად, მონაწილეობას იღებდა წინა ხელისუფლების დროს ქონების ჩამორთმევის პროცესში.

კიდევ ერთი პრაქტიკული პრობლემა თავს იჩენს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩამორთმეული საკუთრება შემდგომში გასხვისდა ან გაიყიდა მესამე პირზე. ამ უკანასკნელის საკუთრების უფლებამ, იმ პირობით, რომ შექმნილია კეთილსინდისიერად, შესაძლოა უპირატესობა მოიპოვოს პირვანდელი მესაკუთრის უფლების მიმართ. აღნიშნული პირვანდელ მესაკუთრეს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მიღების უფლებას უტოვებს.

რესტიტუციის პროცესში ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ქონების დაბრუნების და კომპენსაციის ხარჯი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეფასებით, რესტიტუციის მოთხოვნათა სავარაუდო ღირებულება 3-4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. იქ, სადაც პირდაპირი რესტიტუცია, ანუ ქონების დაბრუნება შეუძლებელია, ხელისუფლება იძულებული იქნება, ქონების ღირებულება კომპენსაციის სახით გადაიხადოს, რაც სახელმწიფოსათვის მძიმე ფინანსური ტვირთია. ამასთან, ქონების დაბრუნებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს გადაცემული ქონების ფუნქციონირების შეფერხება. სამართლიანობას და ეკონომიკურ შედეგებს შორის ბალანსირება სახელმწიფოსათვის, ამ შემთხვევაში, რთული გამოწვევაა.


ქონებრივი მოთხოვნების იგნორირებამ, გარდა წმინდა საარჩევნო და პოლიტიკური შედეგებისა, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადანყვეტილებები და, რაც მთავარია, გააჩინოს უნდობლობა და უკმაყოფილება საქართველოში სამართლიანი პროცესის და კანონის უზენაესობის მიმართ. მეორე მხრივ, ქონებრივი უფლებების აღდგენა და შესაბამისი გამოძიებების წარმოება ძალიან მძიმე შეიძლება გამოდგეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, ასევე გამოიწვიოს სახელმწიფოს განუსაზღვრელი ვადით ჩართულობა რთულ და ხანგრძლივ ქონებრივ დავებში. მიუხედავად იმისა, თუ რომელ მიმართულებას აირჩევს სახელმწიფო, მიღებული გადანყვეტილება იქნება ის ძირითადი საფუძველი, რომლითაც მოქმედი მთავრობის წარმატება შეფასდება. ■



This report is made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID), EWMI and EPF, within the Judicial Independence and Legal Empowerment Project. The contents are the responsibility of AmCham and do not necessarily reflect the views of USAID, the United States Government, EWMI or EPF.

1 2013 წლის 28 ნოემბერს მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა შეჩერდა იმ მიზეზით, რომ ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დაანებოდა ის რეგულაციები, რასაც ეს კანონპროექტი ითვალისწინებდა.

# მამაკაცებში | ადგილის მფლობელი ანატოლი ოლენიკოვი, ქალებში მარიელე კარმანიოლი გახდა



ტრადიციულად, ოქტომბრის ბოლო შაბათ დღეს, „ზაიდელბერგცემენტმა“ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გრანდიოზული ღონისძიება „თბილისმარათონი“ გამართა, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან ერთად საქველმოქმედო ხასიათსაც ატარებდა.

„თბილისმარათონში“ მონაწილეობდნენ, როგორც ზაიდელბერგცემენტის, ასევე სხვა ბიზნესკომპანიის თანამშრომლები, საელჩოებისა და სამინისტროების წარმომადგენლები, მთლიანად თბილისის მოსახლეობა და უცხოელი სტუმრები. ნახევარმარათონზე მონაწილეობისთვის დასაშვებია ასაკი 16+ იყო. ყველა მსურველს, მოყვარულსა თუ პროფესიონალს შესაძლებლობა ჰქონდა სპეციალური ვებგვერდის საშუალებით დარეგისტრირება და მონაწილეობა მიეღო ნახევარმარათონში - [www.tbilisismarathon.ge](http://www.tbilिसimarathon.ge). მონაწილეობის სურვილი 1500-მდე ადამიანმა გამოთქვა და რეგისტრაცია გაიარა.

დღიდანვე, ნახევარმარათონის დაწყებამდე არაჩვეულებრივი განწყობა იგრძნობოდა. თუმცა მონაწილეთაგან 21 კმ-იანი დისტანციის დაძლევის იმედი ცოტას თუ ჰქონდა, თუმცა მათთვის მარათონში მონაწილეობა იყო მთავარი და არა გამარჯვება - ფინიშამდე მიღწევა.

წელს გამარჯვებული მარათონელ მამაკაცებში გამოცემლობა „არეა“ წარმომადგენელი ანატოლი ოლენიკოვი გახდა. მან 21 კილომეტრი 1 საათში, 15 წუთსა და 20 წამში გაირბინა, რაც იმ დღეს ყველაზე კარგი მაჩვენებელი იყო. შარშანდელი გამარჯვებულის დავით ხარაზიშვილის მაჩვენებელს 1 წუთითა და 20 წამით ჩამორჩა. ქალებში ბანკი „რესპუბლიკის“ წარმომადგენელმა მარიელე კარმანიოლიმ ტოლი არავის დაუდო და აღნიშნული დისტანცია 1 საათში, 40 წუთსა და 22 წამში დასძლია.

## თბილისმარათონის საერთო შედეგები:

### მამაკაცები:

- I ადგილი: ანატოლი ოლენიკოვი, ნომერი 292 - გამოცემლობა „არეა“
- II ადგილი: დომინიკ ბორდე, ნომერი 446 - ბანკი რესპუბლიკა
- III ადგილი: შეყრელიძე გიორგი, ნომერი 135 - სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

### ქალები:

- I ადგილი: მარიელე კარმანიოლი, ნომერი - 356
- II ადგილი: ფიონა ქოქსალი, ნომერი - 261, დანიელე დუბო, ნომერი - 447
- III ადგილი: ანა გუსი, ნომერი - 98

საერთო შედეგების შეჯამებით ყველაზე სწრაფ კომპანებს შორის კი გამოცემლობა „არეა“, ბანკი „რესპუბლიკა“ და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო დასახელდა. თუმცა გამარჯვებულები ასევე დასახელდნენ 9 საპრიზო კატეგორიაში, რომლებმაც მაღალი შედეგებით იასპარეზეს. 54 საუკეთესო მაჩვენებლის მქონე

მონაწილეებს მედლები, სერტიფიკატები, სხვადასხვა დასახელების კომპიუტერული, ციფრული ტექნიკა და სპორტული აქსესუარები გადაეცათ.

რეგისტრაციის თანხა შეადგენდა 10 ლარს, რომლის გადახდა შესაძლებელი იყო როგორც პლასტიკური ბარათით, ასევე სწრაფი გადახდის აპარატების (OSMP) საშუალებით. „თბილისმარათონი“ საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. თითოეული დარეგისტრირებული ადამიანი, მონაწილე ხდება ქველმოქმედების, რადგან რეგისტრაციის დროს გადახდილი თანხა საქველმოქმედო ფონდ „იანვანაში“ ირიცხება და შერჩეული ბენეფიციარების დასახმარებლად გროვდება.

პროექტი ზაიდელბერგცემენტის ეგიდით ხორციელდება. კომპანიის მთავარ ამოცანას ქვეყანაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა, კერძოდ სპორტული ღონისძიებების - მარათონების, ნახევარმარათონებისა და გარბენების დამკვიდრება და ამ აქტივობებში საზოგადოების მასობრივი ჩართულობა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ „თბილისმარათონზე“ გამარჯვებულთა გამოვლენა მსოფლიოში აპრობირებული წესების დაცვით განხორციელდება, რასაც ორგანიზებას ვერმანული კომპანია Mika Timing „Official Timekeeping and Data Processing“ გაუწევს. ნახევარმარათონზე (21.0975 კმ.) თითოეული მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს, სადაც ფინიშის გადაკვეთის დრო სრული სიზუსტით დაფიქსირდება. დათვლის სისტემის გამართულად მუშაობისთვის ვერმანიიდან, ქ. კიოლინიდან ჩამოდის კომპანია Mika Timing-ის სამუშაო გუნდი. Mika Timing სერვისი „Official Timekeeping and Data Processing“ გამოცდილია შტუდგარდის, ფრანკფურტის, ჰამბურგის, ბერლინის მარათონებზე.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამგვარი ღონისძიებების ჩატარება, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და, მეორე მხრივ, სოციალური პროექტების განხორციელება. თავიდანვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ სარეგისტრაციო მოსაკრებელით შემოსული თანხა გაგვეორმაგებინა და საქველმოქმედო მიზნებისთვის დაგვეხარჯა. შარშანდელთან შედარებით წელს, უფრო მეტი მონაწილე მოვიზიდეთ. მთავარია, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებიდან მაღალი აქტივობა უკვე იგრძნობა. წელს 1500-ზე მეტი მონაწილე გვყავდა. ეს ალბათ იმითაც იყო განმპირობებული, რომ თბილისის მარათონს წინ კარგი საინფორმაციო კამპანია უძღოდა. „ზაიდელბერგცემენტი“, როგორც განამშენებლო მასალების მწარმოებელი, სოციალურ პროექტებს განსაკუთრებით იმ რეგიონებში ავითარებს, სადაც მისი საწარმოებია განთავსებული, შესაბამისად, „თბილისმარათონის“ საქველმოქმედო ფონდი თბილისის, რუსთავისა და კასპის რეგიონებისთვისაა განსაზღვრული. „თბილისმარათონი“ ყოველ წელს გაიმართება და ქალაქის კულტურულ ტრადიციად დამკვიდრდება, - განმარტავას „ზაიდელბერგცემენტის“ კომუნიკაციების მენეჯერი, ნინო სუბელიანი.

მატარკაციონი ქარხნის საქმე


# მხრისაბუდაბრის ფასი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმე კვლავ სასამართლოშია. გადანყვეტილების მიხედვით, რომელსაც უზენაესი სასამართლო უახლოეს ხანში გამოიტანს, მრავალმილიონიანი აქტივები ან ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მფლობელობაში დარჩება ან კომპანია „ქართულ ფოლადს“ დაუბრუნდება. „ვინცებ სამართლებრივ ბრძოლას ქარხნის დასაბრუნებლად. დღეს ამ ქვეყანას სამართლიანობის აღდგენის პირობით მოსული ხელისუფლება ჰყავს და მე ობიექტურობის იმედი მაქვს“, – განაცხადა რამდენიმე თვის წინ ბიზნესმენმა ჯოზეფ ქეიმ, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ „ქართული ფოლადის“ მენეჯმენტს აკონტროლებდა. რა განაპირობებს მის იმედიაანობას?

## ზურაბ ვარდიაშვილი

2013 წლის 19 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სააქციო საზოგადოება „ქართულმა ფოლადმა“ (ჯოზეფ ქეი) შპს „რუსთავის ფოლადს“ (პატარკაციშვილების ოჯახი) 77,846,000 (სამოცდაჩვიდმეტი მილიონ რვაასორმოცდაექვსი ათას ლარად) რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივები გადასცა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა, რომელიც „რუსთავის ფოლა-



დს“ აკონტროლებს, მეტალურგიული ქარხანა კიდევ ერთხელ დაკარგა.

პატარკაციშვილის ოჯახმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა, თუმცა სამოქალაქო საქმეთა პალატამ გადანყვეტილება უცვლელი დატოვა. „ხელშეკრულების ბათილად ცნობა უკანონოა და ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებსაა მოკლებული“, – ამბობს პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატი ლაშა ბირკაია.

დავა უზენაეს სასამართლოში გრძელდება, მხარეები გადანყვეტილებას დღე-დღეზე ელიან.





ფოტო: სპეციალური სერვისი

**სამართლებრივი მხარე**

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ბადრი პატარკაციშვილმა 2005 წელს შეიძინა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქარხანაზე კონტროლი მისივე ნათესავმა, ჯოზეფ ქეიმ მოიპოვა. გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის მტკიცებით, ქეიმ პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ დოკუმენტები გააყალბა, „საკაშვილის ხელისუფლებას გაურიგდა და ბადრის ქონება მიითვისა“.

პატარკაციშვილის ოჯახმა ქარხანაზე მფლობელობა 2011 წელს დაიბრუნა. ამ დროისთვის

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გადახდისუნარო იყო. კრედიტორებმა გადაწყვიტეს, რომ საწარმო გაკოტრების ნაცვლად, რეაბილიტაციის რეჟიმში გადასულიყო. დამტკიცდა რეაბილიტაციის გეგმა და დაინიშნა მისი მმართველი. რეაბილიტაციის მმართველმა აქტივები გაასხვისა – შპს „რუსთავის ფოლადმა“ რეაბილიტაციის პროცესში მყოფი საწარმოს აქტივები შეიძინა.

პატარკაციშვილების ოჯახის ადვოკატების თქმით, ეს ფაქტი გასხვისების უდიდეს

გამჭვირვალობას ადასტურებს. „როდესაც აქტივებს გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში ყიდულობ, უფრო მეტად გამჭვირვალე ფორმა კაცობრიობას დღემდე არ მოუფიქრებია. „რუსთავის ფოლადის“ ნაცვლად, ნებისმიერი პირი რომ მისულიყო, იგივე ჯოზეფ ქეი მაგალითად, და ეთქვა, რომ თვითონაც იხდიდა 86 მილიონს ან ცოტა მეტს, ისიც შეიძენდა“. – ამბობს ოჯახის მეორე ადვოკატი კობა კვანტალიანი.

„ქართული ფოლადის“ ადვოკატის, დავით ასათიანის თქმით კი რეაბილიტაციის მმართველის ნებისმიერი მოქმედება კანონის და რეაბილიტაციის გეგმის მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს. „რეაბილიტაციის მმართველმა სს „ქართული ფოლადის“ მრავალმილიონიანი ქონება ფაქტობრივად უსასყიდლოდ (ფასის 7 წლის შემდეგ გადახდის პირობით) გაასხვისა, ერთი თვით ადრე შექმნილ შპს „რუსთავის ფოლადზე“, თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით და არა საჯარო აუქციონის ან შეთავაზების გზით. რეალურად სანარმო შეფარულად და ფიქციურად გაკოტრდა, ხოლო ქონების გასხვისება რეაბილიტაციის პროცესში მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სხვა, არასასურველი მყიდველის მონაწილეობა საჯარო აუქციონზე თავიდან ყოფილიყო აცილებილი, რაც გაკოტრების შემთხვევაში სავალდებულოა. სწორედ ამიტომაც ეს გარიგება კანონსაწინააღმდეგო და ბათილი“.

საქმეში, რომელმაც სასამართლოს ორი ინსტანცია საქართველოში უკვე გაიარა, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ ისაა, რომ კომპანიებს შორის დავას, ხელშეკრულების მიხედვით, არა ქართული სასამართლო, არამედ ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟი უნდა განიხილავდეს. ამას ხელშეკრულების შესაბამისი მუხლიც ადასტურებს.

“წინამდებარე ხელშეკრულებასთან ან მასში ასახულ მხარეთა უფლებებთან დაკავშირებით, ან მათგან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება არბიტრაჟის მიერ ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესების მიხედვით, რომელიც მიიჩნევა, როგორც ინკორპორირებულად წინამდებარე მუხლის მითითების შედეგად. არბიტრების რაოდენობაა ერთი. არბიტრაჟის, სამართლებრივი განხილვის ადგილია ლონდონი, ინგლისი. არბიტრაჟის ენაა ინგლისური“. ვკითხულობთ ხელშეკრულებაში.

ამის მიუხედავად, ქართულმა სასამართლომ საქმე თავად დაიქვემდებარა. სასამართლო



იმ კანონს დაეყრდნო, რომელიც გადახდისუუნარობის რეჟიმში არსებული სანარმოს ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავაზე სპეციალურ განსჯადობას ადგენს. „ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ დავებს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოები იხილავენ (ადგილმდებარეობის შესაბამისად). ამდენად, საარბიტრაჟო დათქმის მიუხედავად, სასამართლომ დავა კანონის სრული დაცვით განიხილა“, - ამბობს ასათიანი.

■ „ვითხოვ სამართლიანობის აღდგენას და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უკან დაბრუნებას. ჩემი გამოჩენისა და ამ განცხადებების შემდეგ, ჩემ მიმართ კვლავ ამუშავდება მონინალმდეგეების პიარმანქანა, მაგრამ ყველას გასაგონად ვაცხადებ: მე გაჩუმებას და უკან დახვევას არ ვაპირებ!“ – განაცხადა ჯოზეფ ქეიმ 11 ივნისს, საგანგებო პრესკონფერენციაზე.



ფოტო: სერგეი სტეპანოვი

პირველ ინსტანციაში საქმის წარმოება ხუთი თვე მიმდინარეობდა. მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი მეხუთე თვის თავზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს დავა ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც 20 დღის ვადაში უნდა განიხილონ. „თუკი ეს მართლაც ასეა, ეს მეხუთე თვის ბოლოს რატომ დაასკვნა?“ – კითხვას სვამს ადვოკატი ბირკაია.

თუმცა დავით ასათიანი სხვაგვარად ფიქრობს. მისი თქმით, ასეთ დავებზე კანონი

განხილვის სპეციალურ ვადებს ადგენს. ამ კატეგორიის დავები დაჩქარებული წესით, – წარმოებაში მიღებიდან 20 დღეში განიხილება. თუმცა კონკრეტული საქმის სირთულის, მოცულობის და, ზოგადად, სასამართლოების გადატვირთულობის მიზეზით, კანონით დადგენილი ვადების დაცვა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება, რაც სასამართლო პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამაში განსაკუთრებული არაფერია. „მთავარია,

რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სა-  
აპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებე-  
ბი არსებითად სწორი და სამართლებრივად  
დასაბუთებულია“, – ამბობს ის.

ვადების ასეთი მოულოდნელი შემჭიდროე-  
ბის გამო, ადვოკატებს გასაჩივრების ვადად  
ოთხმეტის ნაცვლად, ხუთი დღე განესაზღ-  
ვრათ.

„ქართულმა ფოლადმა“ ოჯახის მიერ კონ-  
ტროლირებად კომპანიასთან ხელშეკრუ-  
ლების გაუქმება მოითხოვა. სარჩელის  
მიხედვით, ეს იყო „ამორალური და თვალთ-  
მაქცურვი გარიგება“.

„ვითხოვ სამართლიანობის აღდგენას და  
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უკან  
დაბრუნებას. ჩემი გამოჩენისა და ამ გან-  
ცხადებების შემდეგ, ჩემ მიმართ კვლავ ამუ-  
შავდება მონინალმდეგეების პიარმანქანა,  
მაგრამ ყველას გასაგონად ვაცხადებ: მე გა-  
ჩუმებას და უკან დახევას არ ვაპირებ!“ – გა-  
ნაცხადა ჯოზეფ ქეიმ 11 ივნისს, საგანგებო  
პრესკონფერენციაზე.

„მსუბუქად რომ ვთქვათ, ეს ძალიან სასა-  
ცილოა. გარიგება იმ შემთხვევაშია თვალთ-  
მაქცურვი, როდესაც რეალური შედეგი არ  
დგება, საბოლოოდ მესაკუთრე არ იცვლე-  
ბა და თანხას რეალურად არ იხდიან. ჩვენს  
შემთხვევაში კი, მესაკუთრეც შეიცვალა და  
თანხაც გადახდილია“, – ამბობენ ოჯახის  
ადვოკატები.

სანინალმდეგოს ადასტურებს ჯოზეფ  
ქეის ადვოკატი, დავით ასათიანი. საქართვე-  
ლოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით გარი-  
გება, რომელიც კანონით დადგენილ წესს ან  
ზნეობის ნორმებს არღვევს, ბათილია.

„რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი სანარ-  
მოს ყველა აქტივის გასხვისება პირდაპირ  
ენინალმდეგება გადახდისუუნარობის შე-  
სახებ კანონით დადგენილ რეაბილიტაციის  
რეჟიმის ამოცანებს. რეაბილიტაციის მიზა-  
ნია როგორც კრედიტორთა დაკმაყოფილება,  
ისე მოვალის ფინანსურ-ეკონომიკური მდგო-  
მარობის გაუმჯობესება, რაც შეუძლებელი  
ხდება თუ ის ყველა აქტივს დაკარგავს. სწო-  
რედ ეს არსებითი განსხვავებაა რებილიტა-  
ციასა და გაკოტრებას შორის“ – ამბობს  
ასათიანი.

ოჯახის ადვოკატების თქმით კი, თუ  
პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვე-  
ტილება სასამართლომ ძალაში დატოვა,  
ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს  
აუცილებლად მიმართავენ. პატარკაციშ-

ვილების ოჯახმა ლონდონში სახელმწი-  
ფოსთან ადრეც იდავა, რაც მორიგებით  
დასრულდა, ამ მორიგების დეტალები  
გასაიდუმლოებულია და მხოლოდ იმ შე-  
მთხვევაში გახდება ცნობილი, თუკი შეთან-  
ხმების გასაჯაროებას ორივე მხარე, ანუ  
სახელმწიფო და ოჯახი მოისურვებს.

აღსანიშნავია, რომ გასაჯაროების თხო-  
ვნით სახელმწიფოს ოჯახმა უკვე მიმართა.  
„ჩვენ ყველანაირი მექანიზმი გვაქვს იმის-  
თვის, რომ ეს დავა განვაახლოთ“, – ამბობენ  
ადვოკატები.

## პოლიტიკური კონტექსტი

როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ად-  
ვოკატები საქმის პოლიტიკურ ასპექტებზე  
საუბარს ერიდებიან, თუმცა თავად ჯოზეფ  
ქეი ამგვარი თავშეკავებით არ გამოირჩევა.  
„დღეს ამ ქვეყანას სამართლიანობის აღდგე-  
ნის პირობით მოსული ხელისუფლება ჰყავს  
და მე ობიექტურობის იმედი მაქვს“, – განა-  
ცხადა რამდენიმე თვის წინ ქეიმ ზემოთხე-  
ნებულ პრესკონფერენციაზე. რა განაპირო-  
ბებს მის იმედიანობას?

2013 წლის 23 თებერვალს, დღის ორ საათ-  
ზე თბილისის მერი გიგი უგულავა ფინანსთა  
სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბრა-  
ლის წასაყენებლად დაიბარა.

ბრალდება ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს  
მოიცავს. პირველი ეპიზოდი საბიუჯეტო  
თანხების გამოყენებით პოლიტიკური პარტია  
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიან-  
ობის დაფინანსებას ეხება, მეორე კი „იმჟა-  
მინდელი ხელისუფლების მიერ ტელეკომ-  
პანია იმედის ხელში ჩაგდებას სქემას“. იმ  
დროისთვის, ანუ 2008 წელს „ტელეიმედის“  
საკონტროლო წილის მფლობელი ჯოზეფ  
ქეი იყო, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიე-  
ბო სამსახურის მტკიცებით, ხელისუფლების  
სახელით ჯოზეფ ქეის თავდაცვის ყოფილი  
მინისტრი დავით კეზერაშვილი შეხვდა და  
ტელეიმედის დათმობაზე „პირდაპირი მუ-  
ქარით“ დაიყოლია, „სქემის განხორციელე-  
ბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ  
გიორგი უგულავა იყო“, – აცხადებენ ფინანს-  
თა სამინისტროში.

ამ საქმეში ჯოზეფ ქეი მთავარი მოწმე რომ  
არის ისიც ადასტურებს, რომ საგამოძიებო  
სამსახურის ვებგვერდზე დღესაც დევს ამო-  
ნარიდები მხოლოდ ქეის ჩვენებიდან. ტე-  
ლეიმედის საქმეზე უამრავი მოწმე და მტკი-  
ცებულება არსებობს, თუმცა მკითხველს

**■ ბლეიქი ფიქრობს, რომ „ჯოზეფ ქეის – არ დაგვავინწყდეს, რომ ის არ არის ინტელიგენტი და ჭკვიანი ადამიანი – შესაძლოა, ადვილად დაეჯერებინა ასეთი დაპირება და შესაბამისად ის მოტყუებული დარჩება. მე ვერ ვადევნებდი უგულავას საქმეს დეტალურად თვალს, ჯოზეფ ქეი ისევ მოწმეა? თუ ეს ასეა, მაშინ ეს მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ორი საქმე დაკავშირებულია ერთმანეთთან“, – აღნიშნავს თომას ბლეიქი „ლიბერალთან“ საუბარში.**



ფოტო: სერგეი სტრეკოვი

ვებგვერდზე მხოლოდ ჯოზეფ ქეის ჩვენებების გაცნობა შეუძლია.

კებერაშვილი საფრანგეთშია დაკავებული, გიგი უგულავას წინააღმდეგ სასამართლო საქმე კი გრძელდება. მისივე ირონიული რეპლიკის მიხედვით, საქმეში ჯოზეფ ქეი, „ჯოკერი“ მონმეა.

ადვოკატი დავით ასათიანი ამ დავის დაკავშირებას კონკრეტულ პიროვნებებთან და მით უმეტეს, რომელიმე სისხლის სამართლის საქმესთან მართებულად არ მიიჩნევს. „სს „ქართული ფოლადი“ სასამართლოს გზით ცდილობს დაიბრუნოს ქონება, რომელიც 2011 წელს უკანონო გარიგებებით დაკარგა და სამართლებრივი მექანიზმებით კვლავაც აპირებს თავისი უფლებების დაცვას, ნებისმიერი პირის პოზიციის, სხვა გარე ფაქტორის თუ მოვლენის მიუხედავად“, - ამბობს ის.

არის თუ არა მეტალურგიული ქარხანა ჯოზეფ ქეისა და სახელმწიფოს შორის გარიგების საგანი? „რუსთავის ფოლადის“ დირექტორს თომას ბლეიქს ამ ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ აქვს, „თუ ასეთი გარიგება შედგა, არამგონია რომ ამის შესა-

ხებ წერილობითი ხელშეკრულება გაფორმებულიყო, და ვისაც არ უნდა გაეკეთებინა ეს, მას მიზნად შეთანხმების შესრულება, სავარაუდოდ, არ ჰქონდა დასახული“.

ბლეიქი ფიქრობს, რომ „ჯოზეფ ქეის – არ დაგვაფინანსდეს, რომ ის არ არის ინტელიგენტი და ჭკვიანი ადამიანი – შესაძლოა, ადვილად დაეჯერებინა ასეთი დაპირება და შესაბამისად ის მოტყუებული დარჩება. მე ვერ ვადევნებდი უგულავას საქმეს დეტალურად თვალს, ჯოზეფ ქეი ისევე მონმეა? თუ ეს ასეა, მაშინ ეს მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ორი საქმე დაკავშირებულია ერთმანეთთან“, - აღნიშნავს თომას ბლეიქი „ლიბერალთან“ საუბარში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პატარკაციშვილების ოჯახის ადვოკატებს საქმის პოლიტიკურ ასპექტებზე საუბარი არ შეუძლიათ, თუმცა მიაჩნიათ, რომ „მოვლენათა ლოგიკა ყველაფერზე მიანიშნებს. “როგორი იქნება ჯოზეფ ქეის, როგორც მონმისა და ასევე მისი მტკიცებულებების ფასი? ამის განმსაზღვრელ გადანყვეტილებას უზენაესი სასამართლო უახლოეს ხანში გამოიტანს. **■**



ფოტო: ლევან სერბულაძე

# ქაჩისბან დაუსვები

დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წლების წინ შექმნილი ქარსაცავი ზოლების მცირე ნაწილია დარჩენილი. მათი შენარჩუნება თუ აღდგენა კი არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურის ოფიციალური ვალდებულება არ არის. არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტებიც, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო ამ ნარგავების დაცვაზე ან მათ განახლებაზე იზრუნებდა.

ეკა მაღალდაძე





ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი

25 ნოემბერს გორში პროექტ „მწვანე კედლის“ ფარგლებში საჯარო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ქარსაცავი ზოლების მნიშვნელობაზე, მათი რეაბილიტაციისა და მთავრობასთან თანამშრომლობის გზებზე იმსჯელეს. პროექტი ქარსაცავი ზოლების რეაბილიტაციის საკითხის ადვოკატირებას გულისხმობს.

გორის დემოკრატიის სკოლის პროექტის მენეჯერი ნინო მეგრელიშვილი ამბობს, რომ პროექტის ფარგლებში ამ საკითხის წამოწევის შემდეგ ხალხის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას არ ელოდნენ.

“ვფიქრობდით, რომ მწვავე სოციალური

პრობლემების ფონზე ქარსაცავი ზოლების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას არავინ გამოიჩინდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ხალხს ეს საკითხი ძალიან აინტერესებს და მის მნიშვნელობაზეც არავინ დავობს, თუ ხეებს დარგავენ, მოსახლეობის ნაწილი მზადაა, ნარგავებს მიხედოს, ოღონდ კი შედეგი მიიღონ“, – ამბობს ნინო და საავტომობილო გზებისთვის ქარსაცავის მნიშვნელობაზეც საუბრობს.

„გორიდან რომ წახვიდეთ და ნახოთ ვარიანის, კარაღეთის, შინდისის გზა, აქ რამდენიმე მწკრივად იყო განლაგებული ქარსაცავი ზოლები, რომელიც აღარ არ-





სებობს. ზამთარში, როცა გზები გადაინამქრება ხოლმე, საგზაო შემთხვევების რაოდენობაც იზრდება.

პროექტის ნარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თემის რწმუნებულებს ქარსაცავი ზოლების აღწერა დაავალა. მირიან მაზმიშვილი შინდისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია. მაზმიშვილის მონაცემებით, მისი თემის სოფლებში ქარსაცავი ზოლების 1%-იც კი აღარ არის შემორჩენილი. ნაწილი გამხმარია, ნაწილიც მიმდებარე ნაკვეთების მფლობელების საკუთრებაშია გადასული (ზოგჯერ კანონიერად, ზოგჯერ უკანონოდ) და გაჩეხილი.

„ხეები ძირითადად გზის ნაპირებში შენდებოდა, ეს ზამთარში გზას წანამქვრისგან იცავდა, სასოფლო-სამეურნეო მიწებთან გაშენებული ქარსაცავი ხეხილს გაზაფხულზე წაყინვისგან, მოსულ მოსავალს დაბერტყვისგან, მარცვლეულ კულტურებს ჩაქეღვისგან, ნიადაგს კი გამოშრობისგან იცავდა. მიწები რომ ნაკლებად მოსავლიანი გახდა, დიდწილად იმის ბრალიცაა, რომ ქარსაცავები აღარ არსებობს“, – აცხადებს მაზმიშვილი.

დარჩენილი ქარსაცავების გადასარჩენად და აღსადგენად, პირველ ყოვლისა, პრობლემის სამართლებრივი მხარის მოგვარებაა აუცილებელი.

ქარსაცავი ზოლების სამართლებრივი სტატუსი არც ერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, მასზე ზრუნვის კანონიერი ვალდებულება არავის აქვს.

საინიციატივო ჯგუფს სურს მაჟორიტარ დეპუტატსა და პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს, რათა ქარსაცავების იურიდიული სტატუსი დადგინდეს და აღდგენა-რეაბილიტაციის საკითხიც როგორმე დარეგულირდეს.

ყველა საავტომობილო გზა მუნიციპალიტეტის საკუთრება არ არის. გასაწერია ისიც, ვინ იქნება პასუხისმგებელი ამა თუ საავტომობილო გზის გასწვრივ გაშენებულ ქარსაცავებზე, ვისი ბიუჯეტით დაფინანსდება მათი აღდგენა და მოვლა.

ძლიერი ქარი განსაკუთრებით საზიანო სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვისაა – ხორბლის, ქერის, ჭვავის მოსავალი შეიძლება ქარისგან მნიშვნელოვნად დაზიანდეს. ზარალდება ხეხილის ბაღებიც, განსაკუთრებით ყვავილობისას. დამტვერვის შესაძლებლობა კი მცირდება, რადგან მწერებს ფრენა უჭირთ. მაგ. ნაძვის ოთხრიგიანი ქარსაცავი ზოლი 7 მეტრ/წამამდე ქარის სიჩქარეს 20%-მდე ამცირებს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის სამსახურის უფროსი ნათია იორდანიშვილი ამბობს, რომ ქარსაცავი ზოლების საკითხი „ჰაერშია გამოკიდებული“: „თავის დროზე ქარსაფარი ზოლებიც რამდენიმე კატეგორიად იყო დაყოფილი: ნაწილი ტყის ფონდის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით ქარსაფრის არც ერთი ჰექტარი ტყის ფონდის ფარ-

■ „ხეები ძირითადად გზის ნაპირებში შენდებოდა, ეს ზამთარში გზას წანამქვრისგან იცავდა, სასოფლო-სამეურნეო მიწებთან გაშენებული ქარსაცავი ხეხილს გაზაფხულზე წაყინვისგან, მოსულ მოსავალს დაბერტყვისგან, მარცვლეულ კულტურებს ჩაქეღვისგან, ნიადაგს კი გამოშრობისგან იცავდა. მიწები რომ ნაკლებად მოსავლიანი გახდა, დიდწილად იმის ბრალიცაა, რომ ქარსაცავები აღარ არსებობს“, – აცხადებს მაზმიშვილი.

გლებში არ შედის. ჩვენს ბალანსზე არაა და მათი რეაბილიტაცია ჩვენი კომპეტენცია არ არის“, – ამბობს იორდანიშვილი.

მისი აზრით ქარსაცავები სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეროგატივა უნდა იყოს. თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროდან კვლავ გარემოს დაცვის სამინისტროში გადაგვამისამართეს და გვითხრეს, რომ ქარსაცავი ზოლების მართვა არ არის მათი კომპეტენცია. ეს საკითხი ამჟამად არც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კარლო ამირგულაშვილი ამბობს, რომ რამდენიმე კანონში არსებობს გარკვეული ჩანაწერი ქარსაცავების შესახებ, თუმცა, არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ მიიჩნევს, რომ ქარსაცავი მას ექვემდებარება.

“დასაწყებია დიალოგი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. უნდა განისაზღვროს, რომელი ფართობები შეიძლება იყოს ეროვნული სატყეო სააგენტოს შემადგენლობაში და რომელი – სხვა უწყებების დაქვემდებარებაში“, – ამბობს ამირგულაშვილი.

მისივე განმარტებით, კარგი იქნება თუ ევროპაში მიღებული პრაქტიკის მიხედვით, შეიქმნება ერთი საერთო კანონი ქარსაცავების შესახებ, რომელიც სხვადასხვა უწყების კომპეტენციას განსაზღვრავს. კანონმა სამი მხარე უნდა გამოიყოს – მუნიციპალიტეტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

NALAG/USAID-ის პროგრამის - „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებებისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია“ - ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ ქარსაცავების არარსებობა დაასახელეს. რის გამოც, მათი აზრით, ნიადაგი ნაკლებ ნაყოფიერი გახდა, ნარგავები და საავტომობილო გზები კი გაცილებით მეტად ზიანდება.


ქარსაცავები ბოლოს გასული საუკუნის 80-იან წლებში აღწერეს. საქართველოში 4 ათას ჰექტრამდე ფართობის ქარსაცავი იყო, მათგან 1500 ჰა-მდე გორში იყო, ბოლო 20

წლის განმავლობაში კი მათი ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, გეოგრაფი გიორგი დვალაშვილი ამბობს, რომ საქართველოში ქარსაცავები 40-იანი წლების შემდეგ გამოჩნდა, თუმცა გარემოსთან ბოლომდე ადაპტირებული მცენარეები არ იყო შერჩეული. ძირითადად მაინც ალვის ხეები გამოიყენებოდა იმის გამო, რომ მაღალი იზრდებოდა და თანაც სწრაფი ტემპით, თუმცა ალვის ხეების სიცოცხლის ხანგრძლივობა არც ისე მაღალია. შედარებით გვიანდელ პერიოდში გაშენებული ქარსაცავებში ალვა უკვე ნაკლებად გვხვდება.

„ცხადია, ყველგან ერთი და იგივე სახეობა არ გამოგვადგება. დედოფლისწყაროში, მაგალითად აკაციაა გამოყენებული, აჭარის სანაპიროზე ევკალიპტი. შეიძლება ნაყოფის მომცემი ხეებიც კი გამოვიყენოთ, ეს მოსახლეობისთვის ორმაგად სასარგებლო იქნება. ოღონდ არა დიდ მაგისტრალზე, რადგან იქ ხეები დიდი რაოდენობით მეტალებს შთანთქავს“, – ამბობს დვალაშვილი.

მისი თქმით, შესაძლოა ფართოფოთლოვანი მცენარეები უკეთ ასრულებდნენ ფუნქციას, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებისთვის მაინც მუქნივოვანი და წინვოვანი ხემცენარეები ჯობს. დვალაშვილი ფიქრობს, რომ ფერმერებისთვის ქარსაცავის აღდგენა ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან ამას საკუთარი სახსრებით ვერ გააკეთებენ, მათი მიწების ნაყოფიერება კი ამგვარად ბევრად გაიზრდება. „მაგალითად შირაქში ძალიან ფართო ქარსაცავი იყო, 90-იანი წლებში კი სულ განადგურდა და ძლიერი ქარები საშემოდგომო ხორბალსაც ხშირად აზიანებს.“

ქარსაცავების მნიშვნელობა მით უფრო დიდია კლიმატის ცვლილების პროცესშიც. დვალაშვილი თვლის, რომ კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად სწორედ ქარის გავრცელებაზე, სიჩქარესა და პერიოდულობაზე აისახა და დღეს ქარსაცავის მნიშვნელობა ამ კუთხით გაცილებით დიდია, ვიდრე 20-30 წლის წინ.

გორის მუნიციპალიტეტში ქარსაცავების აღსადგენად განხორციელებული აქტივობები, შესაძლოა, კარგი მაგალითი იყოს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, და თუ საინიციატივო ჯგუფის სტრატეგია გაამართლებს, შეიძლება საკითხის საკანონმდებლო დარეგულირებაც დაჩქარდეს. 

**■ კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად სწორედ ქარის გავრცელებაზე, სიჩქარესა და პერიოდულობაზე აისახა და დღეს ქარსაცავის მნიშვნელობა ამ კუთხით გაცილებით დიდია, ვიდრე 20-30 წლის წინ.**

# სამხრეთ კავკასიის ხმები



**HEINRICH BÖLL STIFTUNG**

სამხრეთ კავკასია

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროსა და „ლიბერალის“ ერთობლივი, ორენოვანი პროექტის ფარგლებში კავკასიელი ავტორები, მათ შორის აფხაზი და ოსი ჟურნალისტები, ყოველკვირეულად წერენ ჩვენი ჟურნალისათვის. „ლიბერალის“ სტატიები კი რეგიონის რუსულენოვანი აუდიტორიისათვის რუსულ ენაზე ითარგმნება. ორენოვანი სტატიების არქივი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე, [www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

სტატიები მომზადებულია ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და ბიოლის ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხმების“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ჟურნალის რედაქციისა და „ბიოლის ფონდის“ პოზიციას.

# ხატომ ომობს ჩილილოთ ხავხასია, სამხრეთ ხავხასია ზი - ალახ?

რატომ ხდება, რომ უკვე წლებია, ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებულ დაჯგუფებებსა და ფედერალური სამარალდამცავი ორგანოებს შორის შეტაკებების დროს ადამიანები გაუთავებლად იღუპებიან, სამხრეთ კავკასიაში კი ასეთი დაპირისპირება არ შეინიშნება?

ვალერი ძუცვეი, ოსი პოლიტოლოგი

**■ იმპერიის შენარჩუნებას დიდი ძალისხმევა და მსხვერპლი სჭირდება. და პირიქით, ნაციონალურ სახელმწიფოში ბევრი პრობლემა გაცილებით იოლად წყდება, პოლიციური, ადმინისტრაციული და სამხედრო აპარატის ჩარევის გარეშე. ანუ იმპერიები ნაციონალურ სახელმწიფოებს იმით კი არ ჩამოუვარდებიან, რომ მათზე სუსტები არიან, არამედ იმ მიზეზის გამო, რომ იმპერიების „შენახვას“ ძალთა და რესურსთა უზარმაზარი მობილიზება ესაჭიროება.**

მართალია, სამხრეთ კავკასიაში იყო 2008 წლის ომი, არსებობს დაძაბულობა მთიანი ყარაბაღის გარშემო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, არსებობს კრიმინალი, მაგრამ სამოქალაქო ომის ისეთი ნიშნები, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში შეინიშნება, არც ერთ სამხრეთ-კავკასიურ ტერიტორიაზე არ არის. ითვლება, თითქოს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას შორის არსებული „კულტურული სხვაობა“ ამ რეგიონებში განსხვავებული პოლიტიკური ტრადიციების არსებობის მიზეზი. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ სამხრეთ კავკასიის ექვსივე ქვეყანა, მათ შორის უდიდესი და ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოები, ერთი „მშვიდობისმოყვარე კულტურის“ მატარებლები არიან, ჩრდილოეთ კავკასიის ოთხივე ტერიტორია კი, „ბოევიკების“ მაღალი აქტივობის გათვალისწინებით, „ძალადობის კულტურის“ მიმდევრები ყოფილან.

რუსეთის ხელისუფლება და ექსპერტები ამბობენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არასტაბილური ვითარების მიზეზი სოციალური პრობლემებია. კლანურობა, კორუფცია, სოციალური გარანტიების არარსებობა ჩრდილოეთ კავკასიაში უკმაყოფილების ტალღას წარმოშობს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ამის გამო, რომ ახალგაზრდობა რადიკალიზებულია, პოლიტიკური ისლამის იდეებს ითვისებს და მინისქვეშეთში მიდის. ზოგი ექსპერტი დასძინს, რომ სახელმწიფო ძალიან ხშირად მთელი სისასტიკით რეაგირებს მოვლენების ამგვარ განვითარებაზე, დროდადრო ადამიანის უფლებებს არღვევს, უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს ხელყოფს, ეს კი, თავის მხრივ, ბოევიკების გავლენის სფეროში კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას ითრევს. ამგვარად, კონფლიქტი სპირალისებურად ვითარდება.

თუმცა ამგვარი დასკვნები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომაა ასეთი დიდი განსხვავება ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებას შორის? ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ექსპერტებს ჩრდილოეთ კავკასიის არასტაბილურობის მიზეზად მოაქვთ, სამხრეთ კავკასიაში არათუ იმდენივე, ჩრდილოეთ კავკასიაზე გაცილებით მეტიცაა. განა რუსეთი სამხრეთ კავკასიის რომელიმე სახელმწიფოზე ღარიბი ქვეყანაა? კლანურობა არც სამხრეთ კავკასიას აკლია – აზერბაიჯანში, მაგალითად, ხელისუფლება მამამ შვილს გადააბარა და ამის გამო ქვეყანა ყალბე არ დამდგარა, არც იარალისთვის მოუკიდია ვინმეს ხელი. სილატაკისა და სიმდიდრის კონტრასტი არც სამხრეთ კავკასიაშია ნაკლები, შესაძლოა, პირიქით, უფრო გამოკვეთილიც იყოს. ისლამის გავლენა? ოდენობით მხოლოდ აზერბაიჯანის მუსლიმანური მოსახლეობა გადასწონის საქართველოს და სომხეთს ერთად აღებულს. მუსლიმური უმცირესობა არამუსლიმურ ქვეყანაში? საქართველოშიც ცხოვრობენ მუსლიმები? სამხრეთ კავკასიის ხალხები უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის? დალესტანს უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს, ვიდრე სომხეთს. ან დასრულებული ომიდან მორჩენილი დევნილებია მიზეზი ძალადობის მატებისა? სამხრეთ კავკასიას 20 წლის განმავლობაში გაცილებით მეტი დევნილი გაუჩნდა, ვიდრე კავკასიის გადაღმა რესპუბლიკებს ერთად აღებულს.

მაშ, რატომაა, რომ სამხრეთ კავკასია, რომლის მოსახლეობაც არათუ მეტ, არამედ უფრო ნაკლებ კეთილდღეობაში ცხოვრობს, ახერხებს და სამოქალაქო ომებში არ ეფლობა, მათ გამო ყოველწლიურად ასეულობით ახალგაზრდას არ აბარებს მინას, მაშინ, როცა

ჩრდილოეთ კავკასია არათუ რუსეთის ფედერაციაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მშფოთვარე რეგიონად ითვლება? რასაკვირველია, „მენტალური სხვაობების“ და სხვაგვარი ვრცელი განმარტებების მოტანაც შეიძლება, მაგრამ თუკი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას ყურადღებით დააკვირდებით, ერთადერთ გამოკვეთილ განსხვავებად ის გამოჩნდება, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები კი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიან.

იმპერიის შენარჩუნებას დიდი ძალისხმევა და მსხვერპლი სჭირდება. და პირიქით, ნაციონალურ სახელმწიფოში ბევრი პრობლემა გაცილებით იოლად წყდება, პოლიციური, ადმინისტრაციული და სამხედრო აპარატის ჩარევის გარეშე. ანუ იმპერიები ნაციონალურ სახელმწიფოებს იმით კი არ ჩამოუვარდებიან, რომ მათზე სუსტები არიან, არამედ იმ მიზეზის გამო, რომ იმპერიების „შენახვას“ ძალთა და რესურსთა უზარმაზარი მობილიზება ესაჭიროება.

რომელიღაც მომენტში იმპერიაში აცნობიერებენ, რომ შემოსავლებისა და გასაღების თანაფარდობა (ისეთი, როგორც იმპერიის შესანარჩუნებლად საჭირო) წამგებიანია. თუ ასეთი გაგება თავისთავად არ მოდის, გარემოებებისდა გამო - ეკონომიკური კრიზისები და ომები - მაინც გიხდება მისი აღიარება.

სამხრეთ კავკასიასთან შედარებით, ჩრდილოეთ კავკასია სოციალური წესრიგის სფეროშიც აგებს, იმიტომ რომ იმპერიული რეჟიმი რუსეთის ფედერაციაში სრულად უკვე ვეღარ მოქმედებს, მაგრამ ჩრდილო კავკასიელ ხალხებს ჯერ ნაციონალური სახელმწიფოებიც არ გააჩნიათ. რუსული სახელმწიფოს ძალები იმაზე იხარჯება, როგორმე საზოგადოების ორგანიზების არსებული წესი შეინარჩუნოს. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ფედერაციას გაცილებით დიდი რესურსები აქვს, ამ ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი არარუსი ხალხების „არგაშვებას“ ხმარდება, და არა აღმშენებლობით ამოცანებს.

10 ნოემბერს მილიციის თანამშრომლებთან შეხვედრის დროს პრეზიდენტმა პუტინმა საკმაოდ დაუფარავად განაცხადა, რომ პოლიცია ჩრდილოეთ კავკასიაში იმაზე მუშაობს, თუ როგორ იხსნას რუსეთის დაშლისაგან. თუ ეს რესპუბლიკები ეცდებოდნენ დაეცვათ რუსეთი დაშლისგან, მაშინ კონფლიქტიც არ იარსებებდა.

პრობლემა, სრულიად აშკარაა, იმაში მდგომარეობს, რომ მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიის



შენარჩუნებისთვის იბრძვის, თვით ჩრდილოეთ კავკასია კი რუსეთის ფედერაციაში დარჩენას მაინცდამაინც არ ცდილობს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, უმეტესად, არავინ არავის შენარჩუნებას არ ცდილობს, რადგან ამის საჭიროება არ არსებობს. ამიტომაც, რომ დღევანდელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სტაბილურობის და სოციალური წესრიგის შენარჩუნებაზე სახელმწიფოების მხრიდან დიდი რესურსები არ იხარჯება, რუსეთისგან განსხვავებით, ეს არ მოითხოვს უზარმაზარი არმიების და პროპაგანდისტული აპარატების შენახვას.

მოსკოვი შესანიშნავად აცნობიერებს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მიზეზებს, სწორედ ამიტომ უთხრა მან ჩრდილოეთკავკასიელებს უარი საკუთარი პოლიტიკური ნების თავისუფალ გამოხატვაზე, როცა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების მეთაურების დანიშვნა და არჩევითობის გაუქმება შესთავაზა. რუსეთი შეგნებულად მიდის კონფლიქტზე რეგიონში, ურიგდება სოციალური წესრიგის დაბალ დონესა და სისხლისღვრას, როგორც ნაკლებ ბოროტებას, ვინაიდან მეტი ბოროტება მისთვის რეგიონის რუსეთისაგან შესაძლო სეცესია იქნებოდა. და მაინც, რეგიონის მიერ რუსეთის მტაცებლური მისწრაფებების გაცნობიერება აუცილებლად უფრო და უფრო ძირს გამოუთხრის მოსკოვის პოზიციას, ეს კი ოდესმე რუსეთს უბიძგებს, ვითარების მდგრადობისაკენ მიმართული გადანყვეტილები მიიღოს. ■

გამოქვეყნებულია [www.liberali.ge](http://www.liberali.ge)-ზე, 25.11.2013



## ხაზხანოუხი სახვის შესხუდაბისთვის ხანათში სჯიან

სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებში, ასევე როსტოვის ოლქში ლეკური, ანუ „ლეზგინკა“ თითქმის აკრძალული ცეკვაა. რუსული სახელმწიფო მისი შესრულებისთვის საკმაოდ მკაცრ სასჯელს იყენებს.

### ვალერი ძუცევი, ოსი პოლიტოლოგი

18 ნოემბერს რუსეთის შსს-ს სტავროპოლის მხარის მთავარი სამმართველოს პრეს-სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც არაადგილობრივი სტუდენტების მასობრივი დასჯის შესახებ იტყობინება. ქალაქ კისლოვოდსკის სამედიცინო კოლეჯის 18 სტუდენტი სასწავლო დაწესებულებიდან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას „ლეკურის“ ცეკვის გამო გაირიცხნენ. პოლიციის თანამშრომლების აღწერით, მომხდარი ასე გამოიყურებოდა – „სალამოთი ახალგაზრდების ჯგუფმა ხმამაღალი ყვირილითა და სტვენით შეასრულა ცეკვა „ლეკური“ (უფრო ზუსტი სახელი ამ ცეკვისა იქნება „ლეზგინკა“, ცეკვა, რომელიც საერთოა ყველა ჩრდილოკავკასიელი ხალხისთვის). „ინციდენტის“ მონაწილეებს ჯარიმები დაუნესეს ადმინისტრაციული დარღვევის გამო

და სტუდენტი ახალგაზრდები, უმაღლესი სასწავლებლიდან გაირიცხეს.

სტავროპოლის მხარეში, ისევე, როგორც ზოგადად, რუსეთში, ე.წ. „ლეზგინკის“ შესრულებისთვის პირველად არ სჯიან მოქალაქეებს, მაგრამ 18 სტუდენტის ერთდროულად გარიცხვა დასჯის ყველაზე მასობრივი შემთხვევა იყო ბოლო წლების განმავლობაში. ივნისში ოთხმა ახალგაზრდამ „ლეზგინკა“ პიატიგორსკის ერთ-ერთი კაფეს წინ, მოედანზე იცეკვა, თან, როგორც პოლიცია ამტკიცებს, ერთი მათგანი ცეკვის დროს ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდა. მაშინ მოცეკვავეები 12 დღე-ღამით დააპატიმრეს, მასზე კი, ვინც ჰაერში ისროდა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მანამდე, იანვარში, ქალაქ სტავროპოლში ამავე ცეკვის შესრულებისთვის ინგუშეთიდან ჩამოსული ოთხი სტუდენტი დააკავეს. ერთ-ერთ

მათგანს კოლონიის ტიპის დასახლებაში ერთნაირი პატიმრობა მიესაჯა იმის გამო, რომ პნევმატური იარაღიდან ჰაერში ისროდა.

გაკიცხვის ტონი ლეკურის ცეკვის გამო, ასეთი ფაქტების „სკანდალად“ გამოცხადება რუსულ მედიაში ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა. თათრეთში, ქალაქ ყაზანში „ლეზგინის“ ცეკვის ფაქტს ადგილობრივი მედია ასე გამოეხმაურა: „სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეორგოლები, რომლებშიც კავკასიური ეროვნების პირები ბაუმანის ქუჩაზე „ლეზგინკას“ ცეკვავენ, დროშას იქნევენ და გამველ-გამომველს არანაირ ყურადღებას არ აქცევენ.“

რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის (РИСИ) თანამშრომელმა, პოვოლჟიეში ანტიისლამურ პროპაგანდაზე სპეციალიზებული რაის სულიმანოვმა ყაზანელ ჟურნალისტებს ინტერვიუში განუცხადა: „კავკასიური „ეთნოდანსინგი“ ერთგვარი მარკერია: ასე ცდილობენ, უფრო ხშირად, გარშემომყოფთათვის იმის ჩვენებას, რომ შეუძლიათ, თავს უფლება მისცენ, როგორც სურთ, ისე მოიქცნენ, ხოლო გარშემომყოფთა დუმის მათ სისუსტედ თვლიან.“

სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებში, ასევე როსტოვის ოლქში ლეკური, ანუ „ლეზგინკა“ პრაქტიკულად აკრძალული ცეკვაა. გასაგებია, რომ სინამდვილეში შეუძლებელია, ეს სრულიად ერთნაირი ცეკვა იყოს, ყველა კავკასიელი ხალხი მას თავისებურად ასრულებს. ამის მიუხედავად, რუსული პოლიცია მაინც ახერხებს მის ამოცნობას და მისი შესრულებისთვის საკმაოდ მკაცრ სასჯელს იყენებს. თანაც, მასთან დაკავშირებული ყველაზე მსხვილი სკანდალების გეოგრაფიას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ყველაზე დიდ გაღიზიანებას ის რუსეთის სამხრეთსა და ქვეყნის ცენტრალური ნაწილის მსხვილ ქალაქებში იწვევს. ეს ალბათ უფრო იმას უკავშირდება, რომ როგორც წესი, ჩრდილოეთკავკასიელები სამუშაოს საძებნად ამ რეგიონებისკენ მიაშურებენ ხოლმე, მსხვილ რუსულ ქალაქებში მეტია სამუშაოს პოვნის ალბათობა.

კავკასიური ცეკვის აკრძალვა საკუთრივ „რუსულ რუსეთში“ საკმაოდ სიმბოლურია. ერთი მხრივ, მოსკოვის პოლიტიკა უკანასკნელ წლებში თითქოს იმისკენ იყო მიმართული, რომ ჩრდილოკავკასიელ ახალგაზრდებს რუსულ ქალაქებში სწავლის მეტი შესაძლებლობა მისცემოდათ იმ ფარული მოსაზრებით, რომ მშობლიური ქალაქებიდან და სოფლებიდან შორს ადვილად მოხდეს მათი ასიმილირება და

„დანაჩენების მსგავსი“ რუსი მოქალაქეები გახდნენ. მეორე მხრივ, რუსებს მაინცდამაინც არ სურთ საკუთარი ქალაქების ქუჩებში განსხვავებული ადამიანების ნახვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს თეორიულად ზუსტად მათნაირი სამოქალაქო უფლებები აქვთ.

„ლევადა-ცენტრის“ ამასნიანდელი გამოკითხვების დროს კითხვაზე, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფების ცხოვრება უნდა შეიზღუდოს რუსეთის ტერიტორიაზე, რესპონდენტების 54%-ის პასუხი იყო: „კავკასიელების“. თვალსაჩინოებისთვის, შუა აზიის და ჩინეთის მკვიდრთა შესახებაც კი (რომელთა მოძალების შესახებ რუსეთის ქალაქებში რეგულარულად იწვევა რუსული მასმედიის საშუალებები) ამავე კითხვას დადებითად 45%-მა უპასუხა, ანუ თითქმის ათი პროცენტით ნაკლებმა რესპონდენტმა. ამგვარმა დამოკიდებულებამ რუსეთის ეთნიკურად რუს მოქალაქეებს შორის ბოლო წლების განმავლობაში სამჯერ იმატა. გამოკითხულთა 66% ემხრობოდა ლოზუნგს „რუსეთი რუსებისთვის“ – ეს ყველა დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია იმავე ცენტრის მონაცემების თანახმად. ამავე დროს, 71% ეთანხმება ლოზუნგს „კმარა კავკასიის გამოკვება“ – ეს კი ამ პოპულარული ლოზუნგის წარმოშობიდან, ანუ 2011 წლიდანაა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. 62% თვლის, რომ რუსეთში ეთნიკურ ნიადაგზე მასობრივი სისხლისღვრის დანებება სრულიად მოსალოდნელია.

შეუძლებელია, რუსულ საზოგადოებაში მომძლავრებული ქსენოფობიური განწყობილებები კავკასიელების მიმართ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკაზე არ აისახოს. რუსეთის მოქალაქეების ერთი კატეგორიის კულტურული თავისებურებების აკრძალვა ამ ტიპის ერთ-ერთი ბოლო გამოვლინებაა. თანაც, საუბარია არა ერთ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფზე, არამედ კავკასიური ეროვნებების მთელ ჯგუფზე, რადგან, რუსი ბიურგერი, როგორც სოციოლოგები აღიარებენ, კავკასიელებს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს და მათ, ყველას ერთად და ცალ-ცალკე, „უცხოებად“ მიიჩნევს. ბუნებრივია, რომ საკუთარი ქვეყნის თანამოქალაქეების კულტურულ თავისებურებათა ასეთი აგრესიული მიუღებლობა პერსპექტივაში მხოლოდ გაზრდის დისტანციას საკუთრივ რუსულ ოლქებსა და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს შორის. ■

გამოქვეყნებულია [www.liberali.ge](http://www.liberali.ge)-ზე, 25.11.2013

■ რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის (РИСИ) თანამშრომელმა, პოვოლჟიეში ანტიისლამურ პროპაგანდაზე სპეციალიზებული რაის სულიმანოვმა ყაზანელ ჟურნალისტებს ინტერვიუში განუცხადა, რომ „კავკასიური „ეთნოდანსინგი“ ერთგვარი მარკერია: ასე ცდილობენ, უფრო ხშირად, გარშემომყოფთათვის იმის ჩვენებას, რომ შეუძლიათ, თავს უფლება მისცენ, როგორც სურთ, ისე მოიქცნენ, ხოლო გარშემომყოფთა დუმის მათ სისუსტედ თვლიან.“

# ანქვაბი ბანკაბანას ან ახილბა

გალის ელექტორატი ანქვაბისთვის მნიშვნელოვანია. ამ საკითხზე დაპირისპირების გამო მან აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, სტანისლავ ლაკობა გაათავისუფლა.

დემის პოლანდოვი, რადიო „თავისუფლება“; რადიო „ეხო კავკასას“ აფხაზური ბლოკის ხელმძღვანელი

სახელმწიფო მოხელეებს გარკვეული კონფორმიზმი ყოველთვის ახასიათებთ. მაღლა მდგომი პირისთვის მწარე სიმართლის ჯიქურ მიხლა ფუფუნებაა. თუ ბოსს რამეში არ ეთანხმები, სჯობს დელიკატურად შეაპარო. ამ თვალსაზრისით აფხაზეთის უსაფრთხოების საბჭოს ამასწინათ დათხოვილ ხელმძღვანელს კონფორმისტობას ვერავინ დასწამებს – ეს პოლიტიკოსი სავარძელს არასდროს ჩაბლაუჭებია. დარწმუნებული ვარ, მას საკმარისი დრო და ენერჯია აქვს დახარჯული იმისთვის, რომ ალექსანდრ ანქვაბისთვის საკუთარი შემოფთობა გამოეთქვა გალის რაიონის მაცხოვრებელთა პასპორტიზაციის პროცესის გამო. როგორც ჩანს, არც რბილად და არც ჯიქურ თქმას არ მოჰყოლია შედეგი.

„ლიბერალისთვის“ დაწერილ წინა მასალაში ვივარაუდებ, რომ ანქვაბი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეებისათვის გაცემული აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის შესახებ პარლამენტის დადგენილებას ხელი მოაწერა, ყველაფერს იღონებდა დადგენილების აღსრულების საბოტაჟისთვის. მაშინ, სექტემბერში, გაოგნებული დავრჩი, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ასე სწრაფად მოდუნდნენ და ერთმანეთისთვის სახელისუფლებო გუნდზე გამარჯვების მოლოცვა დაიწყეს. ანქვაბს, როგორც არ უნდა იყოს მის მიმართ დამოკიდებულება, არავისთვის მიუცია მიზეზი, სუსტ მონინალმდეგედ ჩათვალათ. საქმე აქ, რასაკვირველია, ანქვაბის „პროქართულობაში“ კი არაა, როგორც ოპოზიციონერებს უყვართ მისი მონათვლა, არამედ იმაში, რომ გალის ელექტორატის მნიშვნელობა სახელისუფლებო პარტიისათვის მეტისმეტად მაღალია.

თუმცა, კვანძი უფრო ადრე გაიხსნა, ვიდრე ვვარაუდობდი. მაშინ ვფიქრობდი, რომ სოჭის ოლიმპიადის კვირახალს აფხაზეთის ლიდერი არ გარისკავდა და რადიკალურ ნაბიჯებს არ გადადგამდა – სხვაგვარად უსაფრთხოების საბჭოს მეთაურის შეფასება შეუძლებელია. ანქვაბი იმითაცაა ცნობილი, რომ დაცდა და სამოქმედოდ შესაფერისი მომენტის შერჩევა შეუძლია. მაგრამ ამჯერად სულ სხვაგვარად მოხდა.

ხელისუფლებაში ყოფნაზე მოჩვენებითი უარის თქმის ერთი თვე იყო გასული, როცა პარლამენტში პასპორტიზაციის პროცესის შემომნებასთან დაკავშირებული პირველი ანგარიშის მოსმენა მოეწყო. გამომძიებლების მიერ აღმოჩენილი დარღვევების საერთო რაოდენობა იმდენად მიზეზული გამოდგა, რომ ოპოზიციას ეჭვიც აღარ დარჩენია – გალელისთვის პასპორტების ჩამორთმევა არავინ აპირებს. ლაკობას დათხოვნამ, რაც მოსმენას მალევე მოჰყვა, ეს ეჭვი საბოლოოდ ცხადყო.

ანქვაბმა მისთვის ომის გამომცხადებელი ოპოზიციის გამონევა მიიღო. ძნელი სათქმელია, თუ რატომ ჩათვალა ეს პერიოდი შესაფერის მომენტად. შემძლია ვივარაუდო: მოსკოვთან მას ურთიერთობა არ ეწყობა, ფულად გადმორიცხვებთან დაკავშირებული პრობლემა ღრმავდება და არ გვარდება, და ამიტომ, ამ პირობებში, მოსკოვისთვის გამწვავებული სიტუაციის ჩვენება საჭირო – პოლიტიკური კრიზისის, თან ისე, რომ ნაჩვენებ სიტუაციაში მხოლოდ ხელისუფლება ინვესტებს მხარდაჭერის სურვილს. ოღონდ როგორ უნდა გაკეთდეს ეს?

რეცეპტი ძველია და მრავალგზის გამოცდილი. ალექსანდრ ანქვაბი პირველად არ ათამაშებს „ნაციონალიზმის“ კარტს. ნაციონალისტების როლში დღეს, რასაკვირველია, ოპოზიცია გამოდის. ქართველ დამკვირვებელს, ალბათ, სამართლიანი, მართებული მოეჩვენება სტანისლავ ლაკობას დადანიშნულება აფხაზურ შოვინიზმში – სწორედ ამ ბრალდებით გამოვიდა ერთ-ერთ აფხაზურ არხზე პრემიერ-მინისტრის ძველი მეგობარი ლეონიდ ლაკერბაია. აფხაზური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი აპრიორი ნაციონალისტი უნდა იყოს. სინამდვილეში კი ყველაფერი ასე მარტივად არ არის.

აფხაზურ მენტალურ სივრცეში (მოდი ასე დავარქვათ) სტანისლავ ლაკობა ნაციონალისტად არ ითვლება. მაშინაც კი, როცა საქმე საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ლაკობა არასდროს სცდება იმ ფაქტზე ზღვარს,

■ შოვინიზმში ლაკობას დადანიშნულებამ აფხაზურ საზოგადოებაში დისკუსიები გამოიწვია: მაინც რა არის ნაციონალიზმი, არის კი ამდენად მიუღებელი? საქმე მხოლოდ ლაკობას არ შეეხება. რუსეთთან ერთიან საინფორმაციო სივრცეში მყოფი აფხაზეთი ნაციონალიზმთან დაკავშირებული იმ დისკუსიების გავლენას განიცდის, რომლებიც დღეს რუსულ საზოგადოებაში მიმდინარეობს.



რომელიც სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და ეთნიკური დისკრიმინაციის მხარდაჭერას შორის არსებობს. ამ პოლიტიკოსისგან ვერავინ ვერასდროს გაიგონებს განცხადებებს, რომლებიც აფხაზეთში მოსახლე რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს შელახავდა.

თუმცა უდავოა – საქართველოს მოქალაქეთა პასპორტიზაციის საკითხი სწორედ სტანისლავ ლაკობამ წარმოაჩინა მწვავე პრობლემად, და ამან დროებით მართლაც აამაღლა აფხაზეთში ნაციონალიზმის გრადუსი. რაც არ უნდა თქვას ლაკობამ და ოპოზიციის წარმომადგენლებმა, როგორც არ უნდა ახსნან, რომ მათი მოქმედებები მხოლოდ კანონიერების ინტერესების დაცვისკენ და „მტრული ქართული სახელმწიფოს“ პოზიციების გამაგრების აღმოფხვრისკენაა მიმართული, ხალხი ყოველთვის უფრო მარტივად გაიგებს – ეთნიკურად ქართველებს პასპორტები უნდა ჩამოერთვას! ინტელიგენციის რიგებში მასების ამგვარი აგრესიული პოზიცია გარკვეული დისტანცირების სურვილს აღძრავს – ყველაფერში შეიძლება ლაკობასთან დათანხმება, ოღონდ ამ საკითხში – არა. ამას გარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აფხაზური ინტელიგენციის ნაწილი ტრადიციულად ემხრობა აფხაზურ საზოგადოებაში გაღვლეების ინტეგრაციას.

თუმცა, პრობლემა ამაზე ღრმაც კია. შოვინიზმში ლაკობას დადანაშაულებამ აფხაზურ საზოგადოებაში დისკუსიები გამოიწვია: მაინც რა არის ნაციონალიზმი, არის კი ამდენად მიუღებელი? საქმე მხოლოდ ლაკობას არ შეეხება. რუსეთთან ერთიან საინფორმაციო სივრცეში მყოფი აფხაზეთი ნაციონალიზმთან დაკავშირებული იმ დისკუსიების გავლენას განიცდის, რომლებიც დღეს რუსულ საზოგადოებაში მიმდინარეობს.

ამის შედეგად საინფორმაციო სივრცეში უკიდურესად რადიკალური იდეებისა და მოსაზრებების გამოსროლა მოხდა – მაგალითად, იმის შესახებ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მხოლოდ ეთნიკურად აფხაზებს აქვთ, და რომ მათვე უნდა ეკუთვნოდეთ აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების გაყიდვიდან შემოსული სარენტო წილები. ზოგიერთმა რიგითმა ოპოზიციონერმა ამ ლოზუნგებს მხარი დაუჭირა. ალბათ, საჭირო არ იქნება იმის განმარტება, რომ აფხაზეთის ეთნიკურად განსხვავებულ მკვიდრთ მსგავსი იდეები არ მოეწონებოდათ. ამკარაა, რომ შექმნილი სურათი სწორედ ალექსანდრ ანქევანისთვისაა ხელსაყრელი, რომელიც ამ ვითარებაში ხელს ითბობს, როგორც ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამცველი.



რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა შეჯამება, თუ რა მოიტანა საბოლოოდ ხელისუფლებასთან ოპოზიციის დაპირისპირებამ. ამკარაა, რომ სტანისლავ ლაკობას გადაყენებამ ანქევანის პოპულარობის მეტ ვარდნას შეუწყობს ხელს – როგორც რიგით აფხაზებში, ისე ინტელიგენციაში. მაგრამ თუ ოპოზიციამ ალექსანდრ ანქევანის მიერ შემუშავებულ ტაქტიკაზე ადეკვატური პასუხი ვერ მოძებნა, მაშინ, საფიქრებელია, რომ აფხაზეთის ლიდერი არააფხაზური ელექტორატის დიდი ნაწილის თავის მხარეზე „დაკავებას“ მოახერხებს. მრავალეროვნულ აფხაზეთში ეს პატარა ციფრი არ იქნება.

თუმცა, მთავარი თემა ახლა მაინც კრემლია. ანქევანი ცდილობს დაარწმუნოს მოსკოვი, რომ აფხაზეთის პრორუსული ვექტორის არსებობის გარანტი სწორედ თავად არის (აფხაზური ოპოზიციის ანტირუსულობა ის ბრალდებაა, რომელიც სახელისუფლებო დერეფნებიდან შესაშური სისშირით ისმის). პოლიტიკური წინააღმდეგობის საფრთხემ (რევოლუციის საფრთხემაც კი), რომელსაც ვინაოეთნიკური ნაციონალიზმის აფეთქება დაერთვება, შესაძლოა, მართლაც მოახდინოს მოსალოდნელი გავლენა რუსეთის პოზიციაზე. და მართალია, მთლიანობაში კრემლისათვის უდავოდ უპატივებელი სისუსტეა ალექსანდრ ანქევანის უუნარობა, შეინარჩუნოს აფხაზეთში პოლიტიკური სტაბილურობა, თანაც რუსეთისთვის ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში – სოჭის ოლიმპიადა კარზეა მომდგარი, ცხენებს შუა გზაში არავინ ცვლის. ანქევანს სწორედ ამის იმედი აქვს. თუ რა მოხდება მერე, უკვე ცხოვრება გვიჩვენებს. ■

გამოქვეყნებულია [www.liberali.ge](http://www.liberali.ge)-ზე, 15.11.2013





ბედნივანე  
თანვესნაფხრის  
ძრიაბაში

სოფო აფციაური

უკვე ერთი წელია, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა 55-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახის თავშესაფარია.

აქ ყველას თავისი ისტორია აქვს – ზოგი მათგანი მარტოხელა დედაა, ზოგმა ქირის გადახდა ველარ მოახერხა და იძულებული გახდა, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ შენობაში დასახლებულიყო; ოჯახების ნაწილი კი, უბრალოდ, მიიმე სოციალური პირობების გამო ქუჩაში აღმოჩნდა და გამოსავალი, საავადმყოფოს შენობის ნახევრადდანგრეულ ოთახში იპოვნა.

შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი და ელექტროგაყვანილობებიც დაზიანებულია.

გიორგი ახლა ერთი წლისაა, ის ამ შენობაში ნაადრევი მშობიარობის შედეგად დაიბადა. გიორგის დედას, ხათუნა მარგიანს, კიდევ 5 შვილი ჰყავს. გიორგის ტუბერკულოზი აქვს და ინტენსიურად მკურნალობს, თუმცა მას მუდმივად სხვადასხვა ვიტამინი და მედიკამენტი სჭირდება, ამიტომ ოჯახმა კრედიტი აიღო და სოციალური დახმარების ნახევარს მის დასაფარავად იყენებს. ხათუნას მეუღლეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და მუშაობას ვერ ახერხებს.

ოთახში ერთი სანოლი და ელექტროგამათბობელი დგას, ხის ძველ გარდერობში კი ძირს დასაფენი ლეიბები ულაგიათ, რომელსაც ბავშვები ღამე დასაძინებლად იყენებენ.

“უფროსი შვილი უკვე სტუდენტია, მაგრამ ყველაზე მეტად გიორგის მდგომარეობა მანუხებს. ყოველ კვირა უამრავი წამალი სჭირდება. დეკემბრის დასაწყისში ოპერაცია უნდა გაუუკეთოთ და იქამდე კრედიტით გამოტანილი ფულით მუდმივად ვიტამინებს ვაძლევ. ვიცი, რომ ეს თავშესაფარი საცხოვრებლად უვარგისია, ზამთარში რითი უნდა გავთბეთ, წინასწარ





ამაზე ფიქრიც არ მინდა, მაგრამ აქედან თუ გაგვეყარეს, ქუჩაში აღმოვჩნდებით“, – ყვება ხათუნა მარგიანი.

შენობის მეორე ნაწილის ორ ოთახში მათა ოჩიაური თავის 7 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილთან ერთად ცხოვრობს. ნიკუშას ცერებრალური დამბლა აქვს.

ოთახში ორი საწოლის გარდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ნაჩუქარი მაგიდა და სკამებია. ნიკუშას საწოლთან კი დროებით ნათხოვარი ეტლი დგას: „ჯანდაცვის სამინისტროს ეტლზე მივმართე, მაგრამ იმდენი ცნობა და საბუთი მომთხოვა, საქმე ბოლომდე აღარ მივიყვანე. დამლალა ამ ბიუროკრატიულმა პროცედურებმა“.


მათა ნაქირავებში ცხოვრობდა, თუმცა ნიკუშას დაბადების მერე მეუღლემ მიატოვა და 5 თვე თავშესაფარში ცხოვრება მოუწია.

2009 წლიდან მერიაში ბინის რიგს ელოდა, 2010 წელს კენჭისყრაზეც გაიყვანეს, თუმცა ლოტოტრონის პრინციპით შერჩეულ კანდიდატებს შორის მაინც არ აღმოჩნდა.

მძიმე სოციალური პირობების გამო კი, ერთი წლის წინ ყოფილი საავადმყოფოს შენობაში შესახლდა.

ოჯახის ერთადერთი შემოსავალი ნიკუშას ასლარიანი პენსია და სოციალური დახმარებაა. თუმცა, როგორც მათა ამბობს, მის შვილს მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები და მედიკამენტები ესაჭიროება, დაზღვევა კი ამ თანხებს არ ანაზღაურს.

“სოციალური დახმარების უმეტესი ნაწილი ნიკუშას მკურნალობაში მეხარჯება, ამიტომ ეს შენობა თუ დაგვატოვებინეს, ქირის გადახდას ვერ მოვახერხებ და სრულიად მარტო აღმოვჩნდები ქუჩაში“.

ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს შენობა დანარჩენი 55 ოჯახისთვისაც ერთადერთ თავშესაფრად რჩება, თუმცა ეკონომიკის სამინისტროში „ლიბერალს“ განუცხადეს, რომ სამინისტრო ასეთ პრეცედენტს ვერ დაუშვებს და ობიექტს სოციალურად დაუცველებს ვერ გადასცემს: „იქ შეჭრილი მოსახლეობა უკვე გაფრთხილებულიცაა, რომ შენობა დროულად დატოვონ“, – განაცხადეს სამინისტროში, ამიტომ ჯერჯერობით უცნობია რა ბედი ელით აქ მცხოვრებ ადამიანებს. 











## ბიოხი ბოზა



ზუგდიდის ავტოსადგური  
18 ივნისი, 2013

შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ჩემთვის ერთადერთი საინტერესო რამ, რაც საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან დარჩა, იმდროინდელი არქიტექტურაა – შენობები, ინტერიერი ფასადები... ეს ყველაფერი ერთმანეთის მიყოლებით ფიზიკურად ქრება დროში; ის კი, რაც ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენი თვალისთვის, უკვე დიდი ხანია, გამქრალია: წლების განმავლობაში იმდენად შევეჩვიეთ, რომ სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ – არადა, როგორც წლების წინ იტყოდნენ, Зря. როდესაც ამას მივხვდი და ვცაადე, შეჩვეული გარემოსთვის უცხოს თვალთ შემეხედა, აღმოვაჩინე, რომ ეს საბჭოთა იდეოლოგიით გაჟღენთილი შენობები, მოზაიკები, ფასადები და, განსაკუთრებით კი, ავტოსადგურები, ფოტოგრაფიულად იმდენად უნიკალური და საინტერესოა, რომ მათი გადაღება იქამდე უნდა მოესწროს, ვიდრე ჩვენი აღქმის სივრცესთან ერთად ფიზიკური სივრცეიდანაც საბოლოოდ გაქრებიან. 📷



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



**WWW.LIBERALI.GE**

---

## გვიკავშირდით სოციალურ ქსელში

გთავაზობთ



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



გთავაზობთ

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გთავაზობთ



<http://youtube.com/LiberaliMagazine>